მშვიდობიანი და ბედნიერი ახალი წელი დასდგომოდეს სრულიად საქართველოს!

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 265 (544) ხუთშაბათი, 31 დეკემბერი, 1992 წელი ფასი 2 მანეთი

წუხელ შეიტყვეთ

ცნობები აფხაზეთიდან

აფხაზეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარი შტაბის პრესცენტრიდან გვაცნობეს, რომ 29 დეკემბერს 18 საათისათვის მოწინააღმდეგემ საარტილერიო ცეცხლი დაუშინა ქალაქ სოხუმს, რამდენიმე ჭურვი აფეთქდა რესპუბლიკური საავადმყოფოს სიახლოვეს და ახალ რაიონში მდებარე 11-სართულიან კორპუსებთან.

17 საათისათვის ქალაქის დაბომბვა განახლდა, ამჯერად ჩვეულებრივ საარტილერიო საშუალებებთან ერთად, მოწინააღმდეგემ გამოიყენა რეაქტიული სარაკეტო დანადგარები, ე. წ. „გრადი“. ჭურვები აფეთქდა ქალაქის ცენტრში, საზღვაო ნავსადგურთან, კელასურის რაიონში, რამდენიმე მათგანი ჩავარდა ზღვაში. დაბომბვის შედეგად კომკავშირის გზატკეცილზე დაიწვა 1 საცხოვრებელი სახლი, ხოლო რამდენიმე დაზიანდა. წინასწარი მონაცემებით, დაიღუპა ერთი აფხაზი ეროვნების მოქალაქე — 25 წლის ირინა ადლეიბა, ხოლო რამდენიმე დაიჭრა.

ოჩამჩირის რაიონის საქართველოს ეროვნული გვარდიის ნაწილებმა და ოჩამჩირის დაჯგუფებაში შემავალმა სამხედრო ფორმირებებმა 29 დეკემბერს განახორციელეს ერთობლივი სამხედრო ოპერაცია ტყვარჩელის მიმართულებით. შეტევა წარმატებით განვითარდა, ჩვენმა შენაერთებმა დასახელებული მიმართულებით მნიშვნელოვნად წაიწიეს წინ და მოწინააღმდეგეს მიაყენეს საგრძნობი ზარალი. შეტევა გრძელდება. წინასწარი მონაცემებით, ჩვენი მხრივ დაიჭრა 3 მებრძოლი.

30 დეკემბერს დილის 7 საათისათვის მოწინააღმდეგის ტანკმა მდინარე გუმისთის გაღმიდან კვლავ დაუშინა ცეცხლი ქალაქ სოხუმს. ჭურვები აფეთქდა პურის ქარხანა „თავთავის“ სიახლოვეს. საპასუხო საარტილერიო ცეცხლით მოწინააღმდეგის ტანკი იძულებული გახდა სროლა შეეწყვიტა.

და ბოლოს, გვინდა მკითხველს ბოდიში მოვუხადოთ 29 დეკემბრის ნომერში გაპარული დასანანი კორექტურული შეცდომის გამო — ას სამი ტანკის ნაცვლად უნდა ეწეროს 3 ტანკი.

იოსებ გობეჩია.

●

ისევ დივერსია?

29 დეკემბერს საღამოსათვის „საქენერგოს“ ხელმძღვანელობისათვის უცნობი მიზეზების გამო, როგორც აუწყა საქართველოს ინფორმაციო სააგენტოს კორესპონდენტს თენგიზ ბიჭიაძეს „საქენერგოს“ უფროსის პირველმა მოადგილემ ზურო აბაშიძემ, მწყობრიდან გამოვიდა მაღალი ძაბვის ხაზი ჰიდროელექტროსადგურის ზუგდიდ-ვარდნილის უბანზე. ამის გამო რესპუბლიკაში შეწყდა ენგურის ჰიდროელექტროსადგურიდან ელექტროენერგიის მიწოდება.

30 დეკემბერს დილიდან ენერგეტიკოსები შეუდგნენ ელექტროგადამცემი ხაზის დათვალიერებასა და დაზიანების მიზეზების გამორკვევას

ამ დღეებში

[illegible] „საქართველოს რესპუბლიკის“ და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი მოვლენა კომენტარი

ედუარდ შევარდნაძე: პარლამენტმა ბევრი რამ გააკეთა...

29 დეკემბრის სხდომით პარლამენტმა დაასრულა საშემოდგომო სესია და საშობაო არდადეგები დაუდგა. სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ. მან თქვა:

— დღევანდელი სხდომა ბოლო შეხვედრაა, პარლამენტს რამდენიმე დღე შესვენება ექნება. და თუმცა ამ წლის ბოლო სხდომა გარკვეულად დაძაბულ ვითარებაში მიმდინარეობს, მაინც მინდა ვთქვა, რომ ძალიან მოკლე დროში ჩვენმა პარლამენტმა ბევრი რამ გააკეთა, რაც ალბათ, გაუჭირდებოდა პროფესიულად უფრო მომზადებულ პარლამენტებს. ის, რაც ჩვენს ქვეყანაში ხდება, ბუნებრივად, ყოველ ჩვენგანში იწვევს შინაგან დაძაბულობას, ნერვულობას, ეჭვიანობასაც, უნდობლობის ელემენტებსაც. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ბევრი მოვახერხეთ და ის ძალისხმევა, ენერგია, რომელიც დაიხარჯა არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისათვის, და თუ პარლამენტის მუშაობის შედეგების მიხედვითაც ვიმსჯელებთ, ვფიქრობ, წყალში ჩაყრილი შრომა არ არის. პარლამენტმა ბევრი რამ გააკეთა, ბევრი ისეთი კანონი მივიღეთ, ურომლისოდაც ნორმალურად ვერ იმუშავებდა მთავრობა, ხელისუფლება, მათ შორის ისეთი კანონებიც, რომლებიც აუცილებელი იყო ჩვენი ეკონომიკის პირველი ნაბიჯებისათვის, ელემენტარული წესრიგის დამყარებისათვის. ყველაფერს სამართლებრივი ბაზა სჭირდება და სწორედ ამ ბაზის შექმნა დაიწყო პარლამენტმა.

არ მინდა მეორეხარისხოვნად ჩავთვალოთ პარლამენტის ის დამსახურებაც, რომ დღეს საქართველოს კანონიერი ხელისუფლება ჰყავს, არა მარტო პარლამენტის სახით, არამედ მთავრობა, სახელმწიფოს მეთაური, მინისტრები... ამას დიდი მნიშვნელობა აქვს სადღეისოდ და უფრო მეტად ჩვენი პერსპექტივების თვალსაზრისით.

ამასთან ერთად, გულახდილად უნდა ითქვას, ვერ გავიგე ზოგიერთი მინიშნებანი იმის შესახებ, რომ ახლაც ინიშნებიან თანამდებობებზე ისეთი პირები, რომლებიც ხალხს სძულთ. ბევრი რამ ალელვების ფონზეა ნათქვამი. არ მინდა, ახლა ვინმეს შევეკამათო და არც ახალი დისკუსია წამოვიწყო, მაგრამ, მე მგონი, რომ რაც პარლამენტთანაა დაკავშირებული და მის დანიშვნებთან, ჩვენ არ შევმცდარვართ და ისეთი არავინ დაგვინიშნია, ვინც ხალხს აღიზიანებს, ყოველ შემთხვევაში, — დღესდღეობით.

პირველი ინფორმაციები, რომლებიც ახალი მინისტრებისაგან მოვისმინეთ, იმაზე მიუთითებს, რომ პარლამენტს არა აქვს საქმე სერიოზულ შეცდომებთან. ამ პირობებში, როგორც კი შეიძლებოდა, შერჩევა — ჩვენი რიგებიდან, თვითონ პარლამენტიდან, პარლამენტის გარედანაც — ასე თუ ისე, ნორმალური მთავრობა ჩამოყალიბდა და პროგრესული, ახლებურად მოაზროვნე ხალხი მოვიდა. რომელთა მიმართაც, ჩემი აზრით, მოსახლეობას პრეტენზიები არა აქვს. და თუ რომელიმე ჩვენგანი ამას იგრძნობს, ვიმეორებ, უნდა გვეყოს ვაჟკაცობა, დაწყებული სახელმწიფოს მეთაურით და დამთავრებული აპარატის რიგითი მუშაკებით, რათა ადგილი დავუთმოთ ღირსეულთ, ვისაც უფრო უკეთ გამოუვა საქმე.

ამიტომ მიმაჩნია, რომ პარლამენტმა მოკლე დროის განმავლობაში დიდი საქმე გააკეთა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვსაყვედურობთ ერთმანეთს ზოგჯერ არაკორექტული გამოსვლების, ზედმეტი ემოციურობის გამო, მაინც, პარლამენტის საბოლოო გადაწყვეტილებები გამართლებულია. ჩვენ მაინც მივდიოდით, ასე ვთქვათ, კონსენსუსამდე, ერთიანობამდე, ურომლისოდაც პარლამენტს ასეთ პირობებში, ომიანობის პირობებში, მუშაობა არ შეუძლია.

და კიდევ ერთი საკითხი, რომელსაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებ მე, ისევე, როგორც თითოეული თქვენგანი. ესაა ის, რომ არ არის კითხვის ქვეშ დაყენებული პარლამენტის უზენაესობა. ყოველ შემთხვევაში, ეს მე არ მიგრძვნია. ხოლო თუ ეს ასე არის და ამის საფრთხე გამოიკვეთა, მაშინ ეს სპეციალური მსჯელობის საგანი უნდა გახდეს. მე სავსებით გულწრფელი ვიყავი და დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ჩვენ საპარლამენტო სკოლა უნდა გავიაროთ. ჩვენ შევქმნით კონსტიტუციას ყველაზე დემოკრატიული ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, ჩვენი ისტორიის, ჩვენი ტრადიციების გათვალისწინებით. ამის შემდეგ შეიძლება საქართველო საპრეზიდენტო რესპუბლიკა იყოს, შეიძლება საპარლამენტო იყოს. ეს სხვა ამბავია. მაგრამ დღეს, მიუხედავად ომიანობისა და უძნელესი პირობებისა, ნახევრად შიმშილისა თუ მთლიანად შიმშილობისა არა, ჩვენ ეს ძნელი სკოლა მაინც უნდა გავიაროთ. როგორი ძნელიც არ უნდა იყოს ეს გზა, ხანდახან ჩვენი ხასიათების ორგანულად შეუთავსებლობაც კი, ყოველ მიზეზგარეშე უნდა გავიაროთ. სხვაგვარად დემოკრატიის სრულყოფისა და განვითარების მეორე ეტაპამდე ჩვენ ვერ მივალთ.

მე მგონი, ჩვენი მუშაობის, ვიტყოდი ცხოვრების, მოკლე პერიოდი იმას ადასტურებს, რომ ჩვენ, ასე თუ ისე, მივდივართ ამ გზით. მივდივართ წვალებით, ნაბიჯ-ნაბიჯ, ხანდახან ეს გზა ძალიან მტკივნეულია და ეკლიანია, მაგრამ მაინც მივდივართ და დარწმუნებული ვარ, რომ კვლავაც ვივლით.

ეს მინდოდა გამომეხატა და მეთქვა, რათა ახალ შეხვედრამდე არ დავცილდეთ ერთმანეთს იმ განწყობილებით, რომ ეს ფუჭად დახარჯული დრო არის. ჩვენ სერიოზულ საქმეს ვუყრით საფუძველს, ძალიან სერიოზულ, ძალიან საჭირო, სახვალიო და საშვილიშვილო საქმეს.

თუ ახალი წლის შეხვედრაზე ასეთ პირობებში შეიძლება ლაპარაკი ამ თვალსაზრისით, თითოეული თქვენგანი შეიძლება, ასე ვთქვათ, სუფთა სინდისით შეხვდეს ახალ წელს, რადგანაც ყოველმა თქვენგანმა გააკეთა იმის მაქსიმუმი, რისი გაკეთებაც ასეთ რთულ და ძნელ პირობებში. ახალ გზაზე დადგომის პირობებში შეიძლებოდა. იმას როდი ვამბობ, რომ ეს მხოლოდ ვალია უკვე, რომ ყველაფერი გაკეთდა. ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯებია.

მინდა, როგორც კოლეგებს, როგორც თანამებრძოლებს მოგმართოთ მადლიერების და მადლობის სიტყვებით თანამშრომლობისათვის. მათ შორის იმათაც, რომლებიც სახელმწიფო მეთაურს, სამართლიანად თუ უსამართლოდ წაართყამენ ხოლმე წკიპურტს, რადგან უამისოდ საპარლამენტო ცხოვრება არ არსებობს. ესეც სკოლაა, ესეც უნდა გავიაროთ.

მადლობას გწირავთ თანამშრომლობისათვის, ურთიერთგაგების ატმოსფეროს შექმნისათვის, რომელიც, ასე თუ ისე, ჩვენი პარლამენტის მუშაობის ძირითადი ტენდენციაა.

როცა სახელმწიფოს მეთაური შეეხო საქართველოს რესპუბლიკის სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის კანონის განხილვის საკითხს, მან აღნიშნა: სასურველი იყო, რომ ჩვენი მუშაობა ამ კანონთან დაკავშირებით დამთავრებულიყო. როგორც სავსებით სწორად ითქვა, შეიძლება ეს არ არის სრულყოფილი კანონი. ჩვენ, რა თქმა უნდა, დავუბრუნდებით ორი-სამი თვის შემდეგ ამ კანონს, ბევრი რამ გასააზრებელი იქნება, მუდმივად ვერ ვიცხოვრებთ ომიანობის პირობებში. არაერთხელ მითქვამს და ახლაც ვიმეორებ, რომ არ შეიძლება ეს ომი გაუთავებელი იყოს და დადგება დრო, როცა საშუალება გვექნება, უფრო აკადემიურად მივუდგეთ დოკუმენტების მომზადებას, მათ განხილვას არ ვიჩქარებთ. სამართლიანად გვსაყვედურობენ. რომ ასე აჩქარების პირობებში ასეთი სერიოზული კანონების მიღება ცოტა ძნელია და რთული. შეიძლება ადამიანმა უძილო ღამეებიც გაატაროს თითოეულ დებულებაზე ფიქრში. მაგრამ, როცა მე შევთავაზე კომისიებსა და თავდაცვის საბჭოს მოემზადებინათ შემოეტანათ ეს კანონი, მხედველობაში მქონდა ის რთული პირობები, რომელშიც ჩვენ ახლა ვცხოვრობთ. ამ კანონის გარეშე ცხოვრება დღეს შეიძლება და ქვეყანა არ დაიქცევა, თუ მაშინ მივიღებთ, როცა არდადეგებიდან დავბრუნდებით.

ამ წლის ბოლო სხდომაზე

ეს თქვენი საქმეა. მაგრამ მე უნდა გითხრათ იმ ხალხის, იმ ბიჭების განწყობილების თაობაზე, ვინც ჩვენ ვერ გაგვიგებს. თუ რამ არაკორექტული ითქვა გვარდიის, მხედრიონის მიმართ. ან თუ არაკორექტული დაიწერა. ვისაც არ უნდა ეხებოდეს ეს, ყველას მაგივრად პარლამენტის სახელით ვიხდი ბოდიშს, უნდა გითხრათ, რომ ბევრი რეგულარული არმია ვერ გაუძლებს იმ განსაცდელსაც. რასაც ახლა ეს ბიჭები უძლებენ.

ყველას მინდა ბოდიში მოვუხადო: იმისათვის, თუ რამ უკადრისი ითქვა ან პარლამენტში, ან სხვაგან გვარდიისა და მხედრიონის, სხვა ქვეგანაყოფების მიმართ. იმ ბიჭების მიმართ, ვინც ფრონტზე იბრძოდა — და ვინც მათ ეხმარება და ამზადებს — ეს კი ძირითადი მასა — და თუ ისინი ახლა გვისმენენ ოჩამჩირეში ან სოხუმში. მინდა თქვენი სახელით ვუთხრა: ჩვენ თქვენთან ვართ.

ვიცი, რომ მათ ძალიან უჭირთ — ახლახან ველაპარაკე გენერალ კამკამიძეს, ბატონ ჯაბა იოსელიანს, პაატა დათუაშვილს. გია ყარყარაშვილს ვერ დავუკავშირდი, როგორც კი კავშირი აღსდგება, იმასაც დაველაპარაკები. გუშინ აქ წამოაყენეს წინადადება, რომ იქნებ სოხუმში გამსვლელი სესია გავმართოთ. სოხუმშიც ჩავალთ და ოჩამჩირეშიც, არც ერთი ჩვენგანი არ შედრკება. თუ საჭიროა ქვეყნისა და სამშობლოს ინტერესებისათვის, ჩვენ ამას გავაკეთებთ. ეს თქვენ გესმოდეთ, ბიჭებო! და ნუ მიაქცევთ ყურადღებას იმას, თუ სადმე ისეთი რამ ითქვა, რაც გულს გატკენთ და რისი ღირსიც შეიძლება არ იყოს ბევრი თქვენი თანამებრძოლი.

კატეგორიულად არ ვეთანხმები არც ერთ ჩემს კოლეგას, ვინც რაღაც დაპირისპირებაზე ლაპარაკობს პოლიციასა, გვარდიასა, მხედრიონსა და სამხედრო ფორმირებებს შორის. ცალკეული ინციდენტები ოჯახშიც არის, ორ ძმას შორისაც ხდება ხოლმე. სწორედ რაღაც ინციდენტი რომ იყო, მეორე დღესვე 150 მილიციელი დაირაზმა და გაერინდა აფხაზეთში. — და ახლა ისინი მოწინავე პოზიციებზე გვარდიელებთან, მხედრიონელებთან, სხვებთან ერთად იბრძვიან ოჩამჩირეში. ნუ შევქმნით მოჩვენილ წინააღმდეგობებს, ისედაც გვეყოფა ჩვენი სირთულეები და სიძნელეები. დღეს ჩვენ მფრინავი გმირი დავიტირეთ. გუშინ ოზურგეთის პოლიციის უფროსი — ერთი თვის წინათ დანიშნული კაცი, რომლის დანიშვნასაც მთელი რაიონი მიესალმა, მოკლეს ბანდიტებმა. მასთან ერთად დაიღუპა ორი მილიციის მუშაკი, დაიჭრა რამდენიმე კაცი. განა ეს გმირობა არ არის, განა ეს ფრონტი არ არის?

რამდენჯერმე თქმულა ტრიბუნიდან, რომ ყოველდამე მილიციის ერთი ან ორი მუშაკი იღუპება. გუშინწინაც ორი კაცი დაიღუპა თბილისში. ასე რომ, ნუ შევქმნით ამ ხელოვნურ დაპირისპირებას, ხელოვნურ წინააღმდეგობებს. საჭიროა და ხელი შევუწყოთ საზოგადოებაში იმ აზრის ფორმირებას, რომ ჩვენ არმიაც გვჭირდება და პოლიციაც. ერთიც ჩვენია და მეორეც, ორივე განუყოფელია ჩვენი სხეულისა, ჩვენი ცხოვრებისა და სიცოცხლისა.

თქვენ სავსებით კანონიერ მოთხოვნებს აყენებთ, რომ ჯერ ჩამოვაყალიბოთ არმიის კონცეფცია, დოქტრინა. მაგრამ, გვყოფნის კი დრო. გავაკეთოთ ისე, რაც საჭიროა? მე მაინც მგონია, რომ გარკვეული სახით ეს დოქტრინა სახელმწიფო საბჭოში იყო წარმოდგენილი და იგი, ასე თუ ისე კარგი საფუძველია, რომელიც გვაძლევს საშუალებას შევქმნათ ერთიანი არმია. ეს კანონიც, რომელიც ახლა უნდა მივიღოთ, ამ დოქტრინის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. ჩვენ ცოტა სხვა გზით მივდივართ, ცხოვრება გვაიძულებს მივიღოთ აუცილებელი კანონი.

დღეს ასეთი აზრი გამოითქვა, გვითხარით, რამდენი ოფიცერი გვყავს ან რამდენი ოფიცერია საჭირო. ეს ყველაფერი ერთმანეთთანაა დაკავშირებული: ოფიცერი იმდენია საჭირო, რამდენსაც ჯარისკაცთა რაოდენობა მოითხოვს. 250 ქართველი ახალგაზრდა ამთავრებს ახლა აკადემიებს სხვადასხვა ქვეყნებში. ჩვენ უნდა შევძლოთ ისინი მოვიწვიოთ. მაგრამ როგორ უნდა მოვიწვიოთ, როცა არ ვიცით, როგორი კონტინგენტი იქნება. მე არ გეუბნებით, რომ ჩვენ ყველაზე ძლიერი არმია უნდა გვყავდეს. შეიძლება ხუთი ათასი კაცი გვყავდეს, შეიძლება ოცი ათასი, ოცდაათი ათასი. ეს, ალბათ, იმის მიხედვით უნდა განვსაზღვროთ, რა კონტინგენტი იქნება გასაწვევი. ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ ყველას გავიწვევთ. გერმანიაში, მაგალითად, სამხედრო მოვალეობა უნდა მოიხადოს მილიონობით ადამიანმა, მაგრამ მათი ჭერი არის სამასი ათასი კაცი — სამას ათას ჯარისკაცზე მეტის უფლება გერმანიას არ აქვს. ჩვენც ასე ვიქნებით, ალბათ, და ყველას არ მოუწევს არმიაში სამსახური. მაგრამ შეიძლება დადგეს დრო, როცა საჭირო იქნება, ყველამ აიღოს იარაღი, ვისაც შეუძლია იარაღის დაჭერა მშვიდობიანობის დროსაც კი. ამიტომ მეგონა, რომ დღეს ამ კანონის მიღებას, პრინციპული მნიშვნელობა ექნებოდა იმისათვის, რომ წარმოდგენა გვქონოდა, რა კონტინგენტთან გვექნებოდა საქმე, რა რაოდენობის ხალხი იქნებოდა. თუ რა კონტინგენტი გვეყოლება, იმის მიხედვით უნდა ჩამოვაყალიბოთ აზრი ჯარების სახეობებზე, ამაზეც იქნება დამოკიდებული ის, თუ როდის გავა რუსეთის ჯარი საქართველოდან. ნუ გგონიათ, რუსეთის ხელმძღვანელობა ისეთ დათმობებზე წავა: სამხედრო-საზღვაო ბაზა, აგრეთვე საზღვარზე ხალხს დატოვებს და ზღვას გაიყვანს. ასე არ იქნება, ალბათ. ისინიც თავის ინტერესებს გაითვალისწინებენ. შეგვიძლია თუ არ შეგვიძლია დღეს საზღვრის გაშიშვლება? სად გვჭირდება დღეს კიდევ ახალი საზღვრების, სასაზღვრო ხაზების მშენებლობა? ყველაფერი ეს ისევ და ისევ დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რა კონტინგენტი გვეყოლება.

ის, რომ ახლა ჩვენ კონტინგენტი არა გვყავს, ჯერ ერთი, მორალურად მოქმედებს. და მეორეც: ის ბაზები, რომლებიც ჩვენ მივიღეთ, უკვე განადგურებულია. ახალციხეში რუსეთის არმიის სანიმუშო დივიზია ჰყავდა. რაც გამოსატანი იყო, გამოვიტანეთ, იქ სულ რაღაც 60 კაცი დავტოვეთ. ახლა იქ ყველაფერი დარბეული და დანგრეულია, უმჯობესია თავიდან ავაშენოთ ახალი ქალაქი, ვიდრე იქ შეიყვანო ხალხი. ასეა სამტრედიაში, სავალალო მდგომარეობაშია მერიის აეროდრომი. ნიავდება და ჩანაგდება კოპიტნარის უნიკალური აეროდრომი, ასე იქნება სხვებიც.

ჩვენ თანდათანობით ვიღებთ ამ ქონებას. სადაც მოვასწარით გასაწვევი კონტინგენტის შეყვანა, კერძოდ ყოფილ მერვე პოლკში, იგი ათვისებულია. თუმცა იქ არ არის იდეალური პირობები, მაგრამ არაფერი დაიკარგა და ხალხი მზადდება ჩვეულებრივი შინაგანი ჯარებისათვის. ან გორის სატანკო პოლკი. როგორც კი გაგვიჩნდა კონტინგენტი, შევიყვანეთ ჯარისკაცები, ტექნიკა, და დღეს იქ ნორმალური სამხედრო ნაწილია. და, როგორც იტყვიან, გული საგულეს გვაქვს. რაღაც რომ გართულდეს, ის თავის მისიას, თავის ამოცანას შეასრულებს. ამიტომ ისევ და ისევ ვუსვამ ხაზს იმას, რომ ჩვენ უნდა გვქონდეს წარმოდგენა, რა კონტინგენტთან გვექნება საქმე, საომარ ვითარებაში რა რაოდენობის ხალხი აისხამს იარაღს.

რაც შეეხება განსახილველი კანონის 27-ე მუხლს, მე პირადად ის ყველაზე უფრო მისაღებად მიმაჩნდა, თუმცა ვეთანხმები იმათაც, რომ ყველა ქართველმა ახალგაზრდამ უნდა გაიაროს სავალდებულო სამხედრო სამსახური. მაგრამ ალბათ ეს ძნელი იქნება იმიტომ, რომ ვიმეორებ, სულ ომიანობის მოლოდინში ხომ არ ვიქნებით. და როცა კონცეფციაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს აქტიური ნეიტრალიტეტი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენ მშვიდობისმოყვარე ქვეყანა უნდა ვიყოთ, ყველა მეზობელთან კარგად უნდა ვიცხოვროთ და ჩვენი იმედი მაინც ჩვენი ინტელექტუალური პოტენციალი უნდა იყოს — მეცნიერება, ხელოვნება, ლიტერატურა და ა. შ.

თავისი სიტყვის დასასრულს ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ ერთხელ კიდევ მიმართა მადლიერების სიტყვებით პარლამენტარებს ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის.

— მინდა მივმართო მადლობის სიტყვებით მთელს ჩვენს ქვეყანას, ყველა ოჯახს, — თქვა მან — და ვუსურვო, რომ ასეთი ახალი წელი არ განმეორებულიყოს, ასეთი მძიმე, ასეთი რთული, როცა სიხარული სიხარულს არ ჰგავს, ახალი წელი — ახალ წელს. დარწმუნებული ვარ, მომავალი წელი საქართველოსათვის, თითოეული ოჯახისათვის, თითოეული თქვენგანისათვის სხვანაირი იქნება.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

განკარგულება

საქართველოს რესპუბლიკის ზოგიერთი რეგიონიდან კონფლიქტური სიტუაციებისა და სტიქიის შედეგად, აგრეთვე რესპუბლიკის ფარგლებს გარედან ლტოლვილთა სოციალური დაცვისა და უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ

შიდა ქართლში და აფხაზეთში შექმნილი კონფლიქტური სიტუაციების, მთელ რიგ რაიონებში მომხდარი სტიქიური მოვლენების გამო, აგრეთვე რესპუბლიკის ფარგლებს გარედან ლტოლვილთა სოციალური დაცვისა და მათი უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

1. საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტმა და მისმა რეგიონალურმა კომისიებმა ძირითადი საქმიანობა წარმართონ ლტოლვილთა მიღება-დაბინავების, სოციალური და მატერიალური უზრუნველყოფის, შემდგომში კი შესაბამისად მათი მშობლიურ ადგილებში დაბრუნების, რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში გეგმაზომიერად განსახლებისა და მიწისძვრის შედეგების დროული ლიკვიდაციისაკენ.

2. ქალაქ თბილისის მერიამ, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა აღნიშნული საკითხების მოწესრიგებისათვის აქტიური დახმარება გაუწიონ საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტს, გამოძებნონ შესაძლებლობები რეგიონალური კომისიებისათვის თითო საშტატო ერთეულის გამოსაყოფად.

3. 1993 წლის პირველი იანვრიდან ლტოლვილთა დახმარების გაცემასთან დაკავშირებული ფინანსური ოპერაციების წარმართვა დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტს.

4. საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა და სოციალური უზრუნველყოფის, შრომისა და დასაქმების სამინისტროებმა, შესაბამისმა ბანკებმა: — დაფარონ 1993 წლის იანვარში მიმდინარე წლის ნოემბერ-დეკემბრის ლტოლვილების კუთვნილი ფულადი დახმარებებისა და დადგენილი პენსიების დავალიანება.

— შეუფერხებლად გასცენ 1993 წლის იანვრიდან აღნიშნული ყოველთვიური დახმარება და პენსიები.

5. საქართველოს რესპუბლიკის შემნახველმა ბანკმა, ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა უზრუნველყონ ლტოლვილთა მომსახურება და ფულადი დახმარების გაცემა ყოველი თვის 20 რიცხვამდე.

6. კონფლიქტური სიტუაციების შედეგად ლტოლვილ შრომისუნარიან დროებით უმუშევარ პირთა ყოველთვიური ფულადი დახმარება განისაზღვროს მინიმალური ხელფასის ოდენობით, ხოლო სახელმწიფო კმაყოფაზე (უფასო კვება და ბინა) მყოფთათვის — მინიმალური ხელფასის ერთი მესამედით.

7. ორგანიზებულად ჩასახლებულ ლტოლვილთა ცხოვრებისა და კვების ხარჯების ანგარიშსწორების ოპერატიულად განხორციელების წესი განსაზღვროს საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტმა. რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ აღნიშნული კომიტეტის განაცხადის საფუძველზე უზრუნველყოს შესაბამისი თანხების გაცემა და სათანადო ცვლილებები შეიტანოს რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბიუჯეტებში.

8. საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა და შემნახველმა ბანკებმა უზრუნველყონ ლტოლვილთა დროებით საცხოვრებელ ადგილებზე ფულადი ანაბრების შეუფერხებელი გაცემა.

9. ლტოლვილთათვის გათვალისწინებული ჰუმანიტარული დახმარებისა და ნორმირებული პროდუქტების გაცემის ორგანიზაციისათვის საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობისა და მატერიალური მომარაგების სამინისტრომ, ცეკავშირის გამგეობამ, ქ. თბილისის მერიამ, ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტის განაცხადის შესაბამისად დაუყოვნებლივ უზრუნველყონ მაღაზიების საჭირო რაოდენობის გამოყოფა.

10. საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტრომ, მიწის რესურსებისა და მიწის კადასტრის კომიტეტმა, რაიონების ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა ხელი შეუწყონ ლტოლვილთა სოფლის მეურნეობაში დასაქმებას, რისთვისაც გამოუყონ მათ შესაბამისი ფართობის მიწის ნაკვეთები დროებითი სარგებლობისათვის.

11. რესპუბლიკის სამინისტროებმა, უწყებებმა და ორგანიზაციებმა უზრუნველყონ სრულწლოვან შრომისუნარიან ლტოლვილთა დროებითი დასაქმება.

12. საქართველოს რესპუბლიკის მრეწველობის, ვაჭრობისა და მატერიალური მომარაგების სამინისტროებმა, ცეკავშირის გამგეობამ ორი კვირის ვადაში ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტს წარუდგინონ წინადადებანი ლტოლვილთათვის იაფფასიანი, ზამთრის ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, თეთრეულისა და სხვა საყოფაცხოვრებო ნაწარმის გამოყოფის შესახებ.

13. საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტრომ ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტთან ერთად შეარჩიოს ლტოლვილთა მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნების პერიოდისათვის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების შესაფერისი ტიპური პროექტები.

14. საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრომ უზრუნველყოს ლტოლვილთა შორის სამხედრო ვალდებულთა და მოხალისეთა საქართველოს მოქმედ არმიაში გაწვევა.

15. საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტმა 1993 წლის პირველ კვარტალში შეისწავლოს სტიქიით დაზარალებული მოსახლეობისათვის აშენებული საცხოვრებელი სახლების გამოყენების საკითხი, გამოავლინოს წლების განმავლობაში ჩაუსახლებელი სახლები და წარმოადგინოს წინადადებები მათი სტიქიით დაზარალებულებისათვის განაწილების შესახებ.

16. იმ რაიონების ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა, სადაც ხორციელდება სტიქიით დაზარალებულთა ჩასახლება, ხელი შეუწყონ ახლადგადმოსახლებულთა შრომით მოწყობას, სკოლებსა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში განწესებას, სამედიცინო მომსახურებას და სხვა სოციალური საკითხების მოგვარებას.

17. მიწისძვრით დაზარალებული ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა მკაცრად დაიცვან დაზარალებულთათვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობის რიგითობა.

18. ამ განკარგულების შესრულების კონტროლი განახორციელოს საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტმა.

ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი,
1992 წლის 30 დეკემბერი

ნომერში

● საუბარი სიკვდილმისჯილ კაცთან. 3
● „სასწრაფო დახმარება“ დახმარებას ითხოვს. 4

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

ძვირფასო ედუარდ,

გმადლობთ თქვენი წერილისა და გულთბილი სიტყვებისათვის. დუგლას ჰერდმა მაცნობა ბატონ ჩიკვაიძესთან მისი საუბრების შესახებ. იმედი მაქვს, რომ ევროთათბირის ჩარევა დაგეხმარებათ აფხაზეთის კონფლიქტის გადაჭრაში. ევროთათბირის შეკრებაზე სტოკჰოლმში წარმოდგენილ მოხსენებაში ეს პროგრესი შეიგრძნობა. იქონიეთ ჩვენი მხარდაჭერის იმედი კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების საქმეში.

პატივისცემით, თქვენი
ჯონ მეიჯორი,
დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი

საახალწლო მილოცვა

აკაკი წერეთლის სახელობის საბავშვო ფონდს

გაზეთ „მშობლიური კერის“ საშუალებით ახალ, 1993 წელს, ვულოცავთ რესპუბლიკის ბავშვთა სახლების და სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელებს, პედაგოგიურ კოლექტივებს, მამაშვილურად ვლოცავ და სიყვარულით მივესალმები დედა-საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში გმირულად დაღუპულთა შვილებს, რომელთაც ობლობასა და მარტოობას არასოდეს აგრძნობინებს ჩვენი ერი.

წარმატებას ვუსურვებ საქართველოს აკაკი წერეთლის სახელობის საბავშვო ფონდს თავისი კეთილშობილური მიზნების განხორციელებაში.

ჩვენი ქალაქების, რაიონების, სამინისტროების, წარმოება-დაწესებულებათა მესვეურებს ვთხოვ დაუჭირონ მხარი საბავშვო ფონდის ღონისძიებებს ობოლი და მშობლიურ მზრუნველობას მოკლებული ბავშვებისათვის დახმარების საქმეში.

იმედი მაქვს, ჩვენი სახელოვანი ბიზნესმენებიც, თავიანთი დიდი წინაპრების — ზუბალაშვილების, სარაჯიშვილების, ხოშტარიების და სხვათა მაგალითისამებრ, ხელს გაუმართავენ გაჭირვებაში ჩავარდნილ ნორჩ თვისტომებს.

მშვიდობიანი და ბედნიერი ახალი წელი გაგთენებოდეთ, ძვირფასო თანამემამულენო!

მშვიდობიანი და ბედნიერი ახალი წელი დასდგომოდეს სრულიად საქართველოს!

ედუარდ შევარდნაძე.

მოლაპარაკება რუსეთის სამხედროებთან

საქართველოს თავდაცვის მინისტრი თენგიზ კიტოვანი სამშაბათს ჩავიდა მოსკოვში რუსეთის არმიის სარდლობასთან მოლაპარაკებაში მონაწილეობის მისაღებად. „ინტერფაქსისათვის“ მიცემულ ინტერვიუში მან თქვა, რომ მოლაპარაკების დროს უნდა განიხილონ საკითხები, რომლებიც შეეხება საქართველოსათვის მის ტერიტორიაზე განლაგებული კუთვნილი სამხედრო ქონების გადაცემას და აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში დისლოცირებული რუსეთის არმიის ნაწილების გაყვანას. საქართველოს თავდაცვის მინისტრი დარწმუნებულია, რომ აფხაზეთში ომის დამთავრების ვადები „ბევრად არის დამოკიდებული რუსეთის ფედერაციაზე“.

თენგიზ კიტოვანი იმედოვნებს, რომ მოლაპარაკებაზე რუსეთი და საქართველო გამონახავს „საერთო ენას“. „რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი იმთავითვე მხარს უჭერდა და მხარს უჭერს ახალ ქართულ პოლიტიკას, რადგან იგი დემოკრატი იყო და არის“, — აღნიშნა მან. ამასთანავე, თ. კიტოვანმა ხაზი გაუსვა იმას, რომ რუსეთში არიან პოლიტიკური ძალები, რომლებსაც ხელს აძლევთ, რომ „საქართველოს ტერიტორიაზე არ ქრებოდეს კონფრონტაციის კერები“. საქართველოს თავდაცვის მინისტრს რეალურად არ მიაჩნია კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის მუქარა, რომ, თუ რუსეთის ფლოტის სამხედრო ბაზა გადაეცემა საქართველოს, კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაცია „საპასუხო ღონისძიებებს“ განახორციელებს.

ეკონომიკური რეფორმების შტაბში

მთავარია ეკონომიკის სტაბილიზაცია

დღეს ყველა ერთხმად აღიარებს, რომ ასე ცხოვრება აღარ შეიძლება. რადაც უნდა დაგვიჯდეს, უნდა მოვახდინოთ ეკონომიკის სტაბილიზაცია, შევიმუშაოთ კონსტრუქციული ეკონომიკური პროგრამა და მის მიხედვით ვაშენოთ ჩვენი აწმყო და მომავალი. ასე დაასკვნეს საქართველოს მინისტრთა კაბინეტის ეკონომიკური რეფორმების შტაბის თათბირის მონაწილეებმა, რომელსაც უძღვებოდა ამ შტაბის თავმჯდომარე, რესპუბლიკის ვიცე-პრემიერი ბატონი რომან გოცირიძე.

— ყველასათვის ცნობილია, — თქვა მან, — რომ ჩვენ ამერიკელ სპეციალისტებთან ერთად ვმუშაობთ საქართველოს მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პროგრამის შექმნაზე. უნდა ითქვას, რომ ასეთი სტაბილიზაციის პირველი მონახაზი უკვე გავაკეთეთ. მალე ამერიკელები კვლავ გვეწვევიან და პროგრამასაც დავასრულებთ. ეს იქნება რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული პროგრამა, ჩვენი წინსვლის საფუძველთა საფუძველი, რომლის მიხედვითაც უნდა განვითარდეს სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგები. საჭირო იქნება თითოეულმა სამინისტრომ შეადგინოს თავისი დარგის პროგრამა, განისაზღვროს პრიორიტეტები, მოხდეს სტრუქტურული მოდერნიზაცია. ბევრ სამინისტროს უკვე აქვს კიდეც ასეთი პროგრამის მონახაზი.

თათბირმა, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობდნენ რესპუბლიკის მინისტრები და მათი მოადგილეები ეკონომიკის დარგში, ბანკირები, მეცნიერები, ცალკეულ საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, ერთხმად მოიწონა ის აზრი, რომ მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღონ სამინისტროებმა და ორგანიზაციებმა, მეცნიერებმა და პრაქტიკოსებმა. ეს შექმნის იმის წანამძღვრებს, ითქვა თათბირზე, რომ ეკონომიკური მოდელი იყოს სრულყოფილი, წარმოადგენდეს ქვეყნის ეკონომიკის წინსვლის სტრატეგიასაც და დარგობრივი სტრუქტურული განვითარების პროგრამასაც.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების დანიშნულებაა დაიცვან საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა, ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტი.

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის საფუძვლები

საქართველოს რესპუბლიკა არის მშვიდობისმოყვარე სახელმწიფო და ესწრაფვის მშვიდობასა და თანამშრომლობას ყველა სახელმწიფოსთან საერთაშორისო სამართლის პრინციპების საფუძველზე.

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო პოლიტიკა თავდაცვითია. საქართველო ბირთვული იარაღის არმქონე სახელმწიფოა. მას ნაკისრი აქვს ვალდებულება არ აწარმოოს, არ შეინახოს და არ გაატაროს თავის ტერიტორიაზე ბირთვული იარაღი და მასობრივი მოსპობის სხვა საშუალებები. საქართველო ომს მიიჩნევს სახელმწიფოთა შორის პრობლემების გადაწყვეტის მიუღებელ საშუალებად. იგი არასოდეს პირველი არ დაიწყებს საბრძოლო მოქმედებას ნებისმიერი ქვეყნის წინააღმდეგ და არ ჩაებმება ომში, თუ თვითონ არ გახდა აგრესიის ობიექტი.

მუხლი 2. საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის პოლიტიკის პრინციპები

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის პოლიტიკის პრინციპებია:

ა) საქართველო აქტიური ნეიტრალიტეტის ქვეყანაა, რომელიც ხელმძღვანელობს შეიარაღებულ ძალთა და შეიარაღების თავდაცვითი საკმარისობის პრინციპით;

ბ) საქართველო თავის დამოუკიდებლობას, ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს მთელ თავის მიწა-წყალზე იცავს საკუთარი ძალებით;

გ) საქართველო თავისი სამხედრო ძალით არ უნდა ჩამორჩებოდეს ტერიტორიითა და ადამიანთა რესურსებით დაახლოებით მის ტოლ არც ერთ ქვეყანას;

დ) საქართველოს სამხედრო ძალებს უნდა შეეძლოთ მტრის წინსვლის შეჩერება საქართველოს საზღვრებთან, აგრეთვე საქართველოს ტერიტორიის ნებისმიერ პუნქტზე მტრის საჰაერო, საარტილერიო და სარაკეტო თავდასხმის მოგერიება;

ე) საქართველოს შეიარაღებულ ძალებს უნდა შეეძლოთ ნებისმიერი აგრესორისათვის სამაგიერო დარტყმის მიყენება.

მუხლი 3. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის სამართლებრივი რეჟიმი

საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები იცავენ მისი განსაკუთრებული სუვერენიტეტის ქვეშ მყოფ სახმელეთო ტერიტორიას, შიდა და ეროვნულ წყლებს, მათ ქვეშ არსებულ წიაღისეულს, აღნიშნული ტერიტორიის და აკვატორიის თავზე არსებულ საჰაერო სივრცეს.

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის სამართლებრივი რეჟიმი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით და საერთაშორისო ნორმებით.

თავი II
სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების უფლებამოსილებანი საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სფეროში

მუხლი 4. საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილება თავდაცვის სფეროში

საქართველოს პარლამენტი პასუხისმგებელია საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის ფორმირებაზე, სახელმწიფო სამხედრო პოლიტიკაზე, საკანონმდებლო რეგულირებასა და სამხედრო აღმშენებლობაზე.

საქართველოს პარლამენტი სახელმწიფოს მეთაურის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის წარდგინებით:

ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს და მის დებულებას;

განსაზღვრავს და ადგენს სამხედრო დოქტრინას და სამხედრო აღმშენებლობის კონცეფციას;

განსაზღვრავს თავდაცვისათვის საბიუჯეტო ასიგნებათა მოცულობას, სტრუქტურას და შეიარაღებული ძალების რაოდენობასა და მოწყობას;

წყვეტს ქვეყნის სახელმწიფო საზღვრების საკითხებს;

წყვეტს ომისა და ზავის საკითხებს;

ადგენს შეიარაღებულ ძალებში გაწვევის წესებს;

აცხადებს საომარ მდგომარეობას;

აცხადებს სამხედრო და საგანგებო წესებს ან ადასტურებს მათ გამოცხადებას;

აწესებს უმაღლეს სამხედრო და სპეციალურ წოდებებს, შესაბამისი სამინისტროების წარდგინებათა საფუძველზე;

ახორციელებს საქართველოს ტერიტორიის მთლიან ან ნაწილობრივ დაყოფას სამხედრო ოლქებად და სხვა სამხედრო რეგიონულ ერთეულებად.

მუხლი 5. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური არის საქართველოს რესპუბლიკის ყველა სახეობის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე და თავდაცვისა და შეიარაღებული ძალების მდგომარეობისათვის უშუალო პასუხისმგებელი.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური:

აცხადებს მობილიზაციას, საომარ მდგომარეობას ან სამხედრო წესებს და არა უგვიანეს სამი დღე-ღამისა შეაქვს ეს საკითხი პარლამენტის განსახილველად;

მოქალაქეთა უშიშროების უზრუნველყოფისათვის იძლევა განკარგულებას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ან ცალკეულ ადგილებში საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ, საჭიროების შემთხვევაში კი აცხადებს მათ შემოღებას. ამასთან არა უგვიანეს სამი დღე-ღამისა შეაქვს ეს საკითხი პარლამენტის დასამტკიცებლად;

ნიშნავს უმაღლეს სამხედრო თანამდებობის პირებს;

ანიჭებს უმაღლეს სამხედრო წოდებებს;

განსაზღვრავს ყოველწლიურად სამხედრო სამსახურში გასაწვევ პირთა რიცხვს;

წარადგენს საქართველოს პარლამენტში განსახილველად სამხედრო დოქტრინის, სამხედრო აღმშენებლობის, სამხედრო ასიგნებისა და სამხედრო დაფინანსების პროექტებს;

კოორდინაციას უწევს სახელმწიფო ორგანოების საქმიანობას ქვეყნის თავდაცვის უზრუნველყოფისათვის;

აწარმოებს მოლაპარაკებას უცხოეთის სახელმწიფოებთან და ხელს აწერს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს ერთობლივი თავდაცვის, სამხედრო თანამშრომლობის, კოლექტიური უშიშროებისა და განიარაღების საკითხებზე;

უბრძანებს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებს საომარი მოქმედების დაწყებასა და საბრძოლო იარაღის გამოყენების შესახებ.

მუხლი 6. საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭო

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭო წარმოადგენს საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვისა და უშიშროების უმაღლეს სახელმწიფო ორგანოს, რომლის ძირითადი ამოცანაა ქვეყნის თავდაცვის, უშიშროებისა და წესრიგის უზრუნველყოფა.

ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭო ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე.

ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარეობს სახელმწიფოს მეთაური.

ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭო საომარი, სამხედრო და საგანგებო მდგომარეობის დროს წარმართავს მინისტრთა კაბინეტის მუშაობას.

მუხლი 7. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას და სახელმწიფოს უშიშროებას.

მინისტრთა კაბინეტი:

ხელმძღვანელობს მის დაქვემდებარებაში მყოფი ორგანოებისა და ორგანიზაციების საქმიანობას შეიარაღებული ძალების სამხედრო ტექნიკითა და სხვა მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის საქმეში;

ორგანიზაციას უწევს სამხედრო მობილიზაციას, განსაზღვრავს სახალხო მეურნეობის საომარი მდგომარეობის რეჟიმზე გადაყვანის პირობებს, გამოსცემს ნორმატიულ აქტებს აღნიშნულის თაობაზე;

ამტკიცებს მატერიალური რესურსების სამობილიზაციო რეზერვების გეგმებს;

უზრუნველყოფს თავდაცვის საკითხებზე საერთაშორისო შეთანხმებების შესრულებას.

მუხლი 8. საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრო

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრო წარმოადგენს საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სახელმწიფო მმართველობის ორგანოს და პასუხისმგებელია მათ მომზადებაზე, განვითარებასა და თავდაცვის ამოცანების შესრულებაზე.

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრო:

პასუხისმგებელია და უზრუნველყოფს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნას;

ამზადებს სამხედრო დოქტრინის და სამხედრო ბიუჯეტის პროექტებს;

აანალიზებს და აფასებს სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებას და განსაზღვრავს მოსალოდნელ საფრთხეს;

განსაზღვრავს სახელმწიფოს სამხედრო-ტექნიკური პოტენციალის დასაბუთებას;

შეიმუშავებს და სახელმწიფოს მეთაურს წარუდგენს განსახილველად საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო აღმშენებლობის პროგრამას, შეიარაღებული ძალების, სამხედრო ტექნიკის განვითარების პროექტებს;

ორგანიზაციას უწევს სამხედრო სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების განვითარებას;

აწესებს შეიარაღებული ძალების სახეობებს და მათ შემადგენლობას, უზრუნველყოფს სამხედრო კადრების მომზადებასა და მათ განაწილებას;

უზრუნველყოფს სამხედრო და სამოქალაქო პირთა სამხედრო-პატრიოტულ აღზრდას;

ორგანიზაციას უწევს სამხედრო გაწვევასა და მობილიზაციას.

მუხლი 9. ხელისუფლებისა და მმართველობის სხვა ორგანოები

ხელისუფლებისა და მმართველობის სხვა ორგანოები ვალდებულნი არიან მიიღონ ყველა ზომა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 10. მოქალაქეთა მოვალეობა

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის დაცვა მის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ პირთა (მოქალაქეთა) მოვალეობაა.

თავი III
საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები

მუხლი 11. საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები

საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების დისლოკაციას, საქმიანობას, აღმშენებლობას, მათში გაწვევის წესს განსაზღვრავენ საქართველოს რესპუბლიკის კანონები და მათ შესაბამისად მიღებული საკანონმდებლო აქტები.

მუხლი 12. საქართველოს რესპუბლიკის ერთიანი შეიარაღებული ძალების შემადგენლობა

საქართველოს რესპუბლიკის ერთიანი შეიარაღებული ძალები შედგება:
არმიისაგან;
სასაზღვრო ჯარისაგან;
შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარისაგან.

სხვა სახის ან სხვა დაქვემდებარების შეიარაღებული ძალების შექმნა შეიძლება მხოლოდ პარლამენტის გადაწყვეტილებით.

მუხლი 13. შეიარაღებული ძალების საქმიანობის პრინციპები

საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების საქმიანობის პრინციპებია:
ხელმძღვანელობის ცენტრალიზაცია;
დემოკრატია, ჰუმანურობა და კანონისადმი დაქვემდებარება;
რწმენის თავისუფლება;
საყოველთაო სამხედრო ვალდებულება;
სამობილიზაციო და საბრძოლო მზადყოფნა;
სამხედრო მოსამსახურეთა სოციალურ-სამართლებრივი უზრუნველყოფა.

მუხლი 14. საომარი, სამხედრო და საგანგებო მდგომარეობა

საომარი, სამხედრო და საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება და მისი სამართლებრივი რეჟიმი განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით.

მუხლი 15. მობილიზაცია

საომარი ან სამხედრო მდგომარეობის დროს ცხადდება ნაწილობრივი ან მთლიანი მობილიზაცია.

მობილიზაციის წესს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობა.

მუხლი 16. მოქალაქეთა, თანამდებობის პირთა და სამხედრო მოსამსახურეთა პასუხისმგებლობა

მოქალაქეებს, თანამდებობის პირებსა და სამხედრო მოსამსახურეებს ამ კანონის დარღვევისათვის ეკისრებათ პასუხისმგებლობა საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესითა და შემთხვევებში.

მუხლი 17. კანონმდებლობა საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის შესახებ

კანონმდებლობა საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის შესახებ შედგება საქართველოს რესპუბლიკის „სახელმწიფო ხელისუფლების" კანონის, ამ კანონისა და სხვა საკანონმდებლო აქტებისაგან.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური
ე. შევარდნაძე

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვ. გოგუაძე

თბილისი, 1992 წლის 22 დეკემბერი.

დანაშაული გახსნილია

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეურნეო და თანამდებობრივ დანაშაულობებთან მებრძოლი სამმართველოს და მთავარი საგამოძიებო სამმართველოს მუშაკების მიერ განხორციელებული საგამოძიებო-ოპერატიული ღონისძიებების შედეგად გახსნილია დანაშაული დიზელის საწვავის უკანონოდ რეალიზაციისა და სახელმწიფო გადასახადისაგან შემოსავლის დამალვის ფაქტზე.

შემოწმებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის აპრილ-ივნისში სახელმწიფო კონცერნ „საქნავთობპროდუქტების" თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ვ. კოტრიკაძემ, რესპუბლიკის რესურსებიდან მთავრობასთან შეთანხმების გარეშე, საქართველო-კვიპროსის ერთობლივ საწარმო „ბათოილს" გადასცა 30 ათასი ტონა დიზელის საწვავი, რომელიც ამ უკანასკნელმა გაიტანა და გაყიდა საზღვარგარეთ. აღნიშნული საწვავის სანაცვლოდ მიღებული 3,5 მილიონი ამერიკული დოლარი ვ. კოტრიკაძემ განკარგა თავისი შეხედულებისამებრ — უკანონოდ გადარიცხა ფირმების „მიგრისა" და „მერიდიანის" ანგარიშებზე კანადასა და ავსტრიაში ისე, რომ კონცერნის აღრიცხვა-ანგარიშგებაში არ მოხვედრა, რითაც დაიმალა აღნიშნული თანხები სახელმწიფო გადასახადებისაგან. დადგენილი იქნა, რომ ამ ოპერაციიდან ქ. ლონდონის ბანკში ერთობლივ საწარმო „ბათოილის" ანგარიშზე დარჩენილია 438 ათასი ამერიკული დოლარი, ხორციელდება ღონისძიებები რესპუბლიკისათვის თანხის დასაბრუნებლად.

გარდა აღნიშნულისა, კონცერნის ხელმძღვანელობის მიერ საქართველოსა და რუსეთის სხვადასხვა ფირმებზე უსაფუძვლოდაა გადარიცხული, თითქოსდა საწვავის შემოსატანად, 2 მილიარდ მანეთზე მეტი, რომლებიც კონცერნში ირიცხება, როგორც დებიტორული დავალიანება.

საგამოძიებო და ოპერატიული ჯგუფის აქტიური ჩარევის შედეგად, კონცერნს სხვადასხვა ფირმებმა უკვე დაუბრუნეს 500 მილიონ მანეთზე მეტი, რაც ამ უკანასკნელთა ანგარიშზე იყო თავის დროზე უკანონოდ გადარიცხული. სულ ახლახან კი გამოძიებას ერთ-ერთი საზოგადოების თავმჯდომარემ წარმოუდგინა 1 მილიონ 400 ათასი მანეთი, რომელიც ფაქტობრივად, კონცერნის კუთვნილი იყო და იქ ასევე უკანონოდ იყო გადარიცხული. გამოდის, რომ კონცერნის საკეთებელ საქმეს, ჯერჯერობით გამოძიება აკეთებს.

საბაზრო ეკონომიკამ გარკვეულად შეცვალა გამოძიების თვალთახედვაც, — გვითხრა საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავარი საგამოძიებო სამმართველოს უფროსმა ჯემალ გახოკიძემ. — საქმე ის გახლავთ, რომ ძველ სისტემაში საკუთრების ფორმები ძალიან მკაცრად იყო დაყოფილი: არსებობდა სახელმწიფო, საზოგადოებრივი და პირადი საკუთრება. ახლა ის პერიოდია, როცა საკუთრების ეს სახეობა ერთმანეთში გადადის და ამ ვითარებას იყენებენ არაკეთილსინდისიერი ბიზნესმენები. სწორედ ჩვენი დანიშნულებაც ის არის, რომ სახელმწიფოს დავეხმაროთ და მოვაწესრიგოთ კანონიერად, — ამიტომ, დღეს გამოძიებამ აუცილებლად უნდა შეცვალოს თავისი მუშაობის ფორმები და მეთოდები იმ მიმართულებით, რომ სახელმწიფოს დაუბრუნდეს მისი კუთვნილი. ხოლო, ვინც ასეთ დარღვევებს დაუშვებს, მათ მიმართ გამოიყენონ მკაცრი ეკონომიკური სანქციები. მსგავსი მაგალითები უამრავია, ამიტომ, ბუნებრივია, გაჩნდა აზრი იმის შესახებ, რომ, თუკი საგამოძიებო და ოპერატიული სამსახურები შეძლებენ ასეთი დიდი სამსახურის გაწევას, რატომ არ უნდა ეკუთვნოდეს გარკვეული ნაწილი ამ თანხებისა შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომელიც მოხმარდება, ერთი მხრივ, ამ თანამშრომლების მატერიალური წახალისების სტიმულს, და მეორე მხრივ, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას.

ახლა სისხლის სამართლის კანონმდებლობა სახელმწიფო ქონების დატაცებისათვის, თუ თანხამ 100 ათას მანეთს გადააჭარბა, ითვალისწინებს 10-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას. ხოლო იმ პირთა მიმართ, ვინც მილიონები უკანონოდ გადარიცხა და, ფაქტობრივად, სახელმწიფო თანხები აღმოჩნდა არასახელმწიფო სტრუქტურებში, მათზე კანონმდებლობა გაცილებით ლმობიერია. ჩვენი აზრით, ეს არ არის სწორი, — თქვა საუბრის დასასრულს ბატონმა ჯემალ გახოკიძემ.

ზულიკო მარკოზაშვილი.

მთის გადასარჩენად

ბადათერ არაბული,
მწერალი, ჟურნალ „ნობათის" მთავარი რედაქტორი.

ამ ცოტა ხნის წინ მომხდარმა მიწისძვრამ დიდი ზარალი მიაყენა დუშეთის რაიონს, კერძოდ, ფშავ-ხევსურეთს, მთიულეთს — გუდამაყარს; დანგრეულია ან დანგრევის პირასაა მისული ასობით საცხოვრებელი სახლი და სხვა შენობა-ნაგებობა, კომუნიკაციის საშუალებანი.

ამ კუთხეებს საქართველოსთვის ოდითგანვე დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდათ, ამიტომ ყველა ქართველის ვალია მზრუნველობა და ყურადღება არ მოაკლოს მთის მოსახლეობას ადგილზე დასამაგრებლად; მიწისძვრის ზარალის დასაძლევად რამდენიმე მილიარდი იქნება საჭირო. რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით შეიქმნა სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო შტაბი, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს მშენებლობის მინისტრის მოადგილე, ბატონი მერაბ ნიკოლეიშვილი.

კომისიამ უკვე დასწია გარკვეული სამუშაო; აღირიცხა ყველა დანგრეული და დაზიანებული სახლი და შენობა-ნაგებობა, საპროექტო-საძიებო და სამშენებლო სამუშაოების ჩასატარებლად დაისახა კონკრეტული ღონისძიებები. კომისიის გადაწყვეტილებით ყველაზე დაზარალებულ ოჯახებს გამოსაზამთრებლად გამოეყოფა საცხოვრებელი ვაგონები, გაზაფხულიდან კი დაიწყება ფართო მასშტაბიანი სამშენებლო-აღდგენითი სამუშაოები. პირველი და მეორე კატეგორიის შენობა-ნაგებობები გამაგრდება, რაც შეეხება მესამე კატეგორიის სახლებს და ნაგებობებს, მოხდება მათი სრული აღდგენა.

15 დეკემბერს კომისია, რომელშიც შედიოდნენ მშენებლობის მინისტრის მოადგილე, შტაბის თავმჯდომარე მერაბ ნიკოლეიშვილი, კაპიტალური მშენებლობის ეკონომიკის სამმართველოს უფროსი გივი შანიძე, საპროექტო-სალიცენზიო და პრივატიზაციის სამმართველოს უფროსი, შტაბის თავმჯდომარის მოადგილე თამაზ ბოკერია, მე-13 სამშენებლო ტრესტის მმართველი გიგლა არაბული, დუშეთის რაიონის მშენებლობისა და არქიტექტურის განყოფილების გამგე ფრიდონ ფრიდონაშვილი და ამ სტრიქონების ავტორი, ფშავ-ხევსურეთს ეწვია. კომისიის წევრები შეხვდნენ მოსახლეობას, ადგილზე დაათვალიერეს დაზიანებული საცხოვრებელი სახლები, ნახეს სოფლების ბარისახოსა და მაღაროს სკოლა-ინტერნატების ნაწილობრივ დანგრეული შენობები.

— დღეს, როცა საქართველოს ასე უჭირს, ჩვენი გაჭირვება რა სახსენებელია, — გვითხრა ერთ-ერთი დანგრეული სახლის პატრონმა. ისე კი მართლა უჭირს ხალხს, მოსწავლეებს, მასწავლებლებს, მუშა-მოსამსახურეებს, გლეხებს. საცხოვრებლად უვარგისია სახლების უმრავლესობა, რაიონის ცენტრიდან არ მოძრაობს არავითარი ტრანსპორტი. არა აქვთ ფქვილი, არ ცხვება პური, წინ კი გრძელი და მძიმე ზამთარია.

კომისიის წევრებმა აღუთქვეს მოსახლეობას, რომ ყველაფერს იღონებენ მათი პრობლემების მოსაგვარებლად, აქედანვე დაიწყებენ მზადებას მომავალი აღდგენითი სამუშაოების ჩასატარებლად, ხოლო გაზაფხულიდან ამ სამუშაოებს ფართო მასშტაბით გაშლიან მთელი დუშეთის რაიონში.

ნომრიდან, რომელიც ჯერ არ გამოსულა

ცრემლი და სიმღერა

კიდევ ერთი მძიმე, უიღბლო წელი ჩაიწერა საქართველოს ისტორიაში. მადლობა ღმერთს, ჩათავდა, წავიდა 1992 წელი და წაიღო ჩვენი ტკივილები. წაიღო?!.. დიახ, წაიღო. ჩვენ ასე გვჯერა. მოდის ახალი, 1993 წელი და იმედით, რწმენით ვეგებებით. იმედი და გამარჯვება ნუ მოგვეშალოს.

ჰოდა, თუ გინდა ბედნიერი, უსისხლო წელი გაითენო, ჩემო ქართველო, გაიხსენე შენთვის ყველაზე იღბლიანი წელი, როცა ოჯახში სავსე იყავი. არავინ გაკლდა, ყველა ცოცხალი გყავდა. გაიხსენე, როცა ქართულ მიწაზე მშვიდობა სუფევდა, ძმათა შორის სიამტკბილობა იყო, და გაიხსენე შუბლი, როცა საათი თორმეტჯერ ჩამოჰკრავს. დაივიწყე წარსული წელი. დაივიწყო? ჰო, დაივიწყე, ასწიე ჭიქა და ძველებურად შეეგებე ახალ წელს. ძველებურად?! ჰო, ძველებურად! იქნებ ადრინდელივით არ გქონდეს სუფრაზე ნაირ-ნაირი, მაგრამ სული ხომ შეგრჩა, ჩემო ტანჯულო? ქართული სული! ადრინდელივით გულმხიარული შეხვდი ახალ წელს. შენ რომ გჩვევია, ისე შეხვდი მეფურად, მეკვლეს თაფლი მიაგებე. თაფლი არა გაქვს? ტკბილი სიტყვა უთხარი. ვაი, რომ ესეც ძვირად ფასობს ჩვენში.

საახალწლო ქართული სუფრა ცარიელი? ვინა თქვა? ეს ხომ მხატვარმა იხუმრა მწარედ. ეს ხომ სიტყვის თამაშია მხოლოდ. სად გაგონილა საქართველოში საახალწლო სუფრა ღარიბი? ერი პურადი, გულადი ნემსის ყუნწში გაძვრება და ხვავი და ბარაქა რომ დაიკვებოს, საახალწლო სუფრას იქნებ ჩიტის რძეც არ დააკლოს ამ გაჭირვების ჟამსაც კი.

დაჰკრავს საათი თორმეტჯერ. ამცნობს ქვეყანას ახალი წლის დადგომას. შეისმება სუფრაზე საახალწლო სადღეგრძელო და დაიწყება მისვლა-მოსვლა მეზობლებში, ნათესავებში. ბიჭი გოგონაზე შეყვარებული ვარდის ყვავილით ხელში შუაღამისას ქუჩაში (ერთი ვარდი ხომ 400 მანეთია ბაზარში). სატრფოს მიართმევს ყვავილს.

სუფრას მიუსხდებიან ქართველები. იტყვიან სადღეგრძელოს, ითქმება. ლექსი. ვიღაც სიმღერას შემოსძახებს. სიმღერას?! ჰო, სიმღერას! უნდა იმღერო, ჩემო ქართველო. ჩვენი სიმღერა ახლა ცრემლზე მწარეა, მაგრამ უნდა იმღერო საქართველოს გადასარჩენად, უფრო ხმამაღლა, როგორც გჩვეოდა, როგორც მღეროდი. თქვენ იქ, ბიჭებო — სამუდამო სასუფეველში, თქვენს თვალებს ვენაცვალე. ჩვენ აქ, დებო ძმებო, მამებო. დასჭექეთ „მუმლი მუხასა" და ისე ძლიერ... და ისე ძლიერ...

ადექით ფეხზე, ქართველებო, ვახსენოთ ღმერთი, ჩვენი გამჩენი და გადამრჩენი ვადღეგრძელოთ საქართველო, დალოცვილ იყოს სამშობლო ჩვენი!

ზულფარა ბახტაძე,
ჟურნალი „დროშა", № 12 1992 წ.



ქართველი კაცის საახალწლო ნატურმორტი.

მხატვარი ჯემალ ლოლუა.

მეცნიერები ანგარიშს აბარებენ

თბილისის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში (დირექტორი — რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ივანე კილურაძე) ხუთ დღეს გრძელდებოდა თანამშრომელთა სამეცნიერო სესია. 21 მომხსენებელი — დირექტორით დაწყებული და მეცნიერი მუშაკით დამთავრებული — მიმდინარე წლის განმავლობაში გაწეული კვლევითი მუშაობის ანგარიშით წარუდგა კოლეგებს. მათემატიკური მეცნიერების სულ სხვადასხვა დარგში მიღებული შედეგები მოწმობს, რომ ცხოვრების უმძიმეს პირობებშიც ინსტიტუტის კოლექტივი წარმატებითართმევს თავს დასახული ამოცანების გადაწყვეტას — გნებავთ პირდაპირ, გნებავთ გადატანითი მნიშვნელობით.

თამაზ მგანოძე.

პარტიებსა და მოძრაობებში

ინტერნაციონალის წევრობა მიღწეულია, როგორ გამოვიყენებთ მას?

ახლახან ბრიუსელში დასრულდა მუშაობა აღმოსავლეთ ევროპის ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის შექმნისათვის. ამ დღეს კავშირში შემსვლელი ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა, რომელთა შორის იყვნენ საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე გიორგი ჭანტურია და საქართველოს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის თავმჯდომარე ირაკლი შენგელაია, ხელი მოაწერეს დეკლარაციას აღმოსავლეთ ევროპის ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის შექმნის თაობაზე. ამ უაღრესად მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენის და, ზოგადად, ევროპაში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დელეგაციის ვიზიტის გაშუქებას მიეძღვნა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის გიორგი ჭანტურიას პრესკონფერენცია, რომელიც გაიმართა პარტიის შტაბბინაში.

დეკლარაციის ხელმოწერის ცერემონიას, როგორც ბატონმა ჭანტურიამ მოახსენა ჟურნალისტებს, ესწრებოდნენ ქრისტიანულ-დემოკრატიული ინტერნაციონალის პოლიტიკური ბიუროს წევრები, დასავლეთ ევროპის, აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის ქრისტიანულ-დემოკრატიული ორგანიზაციების წარმომადგენლები. პრესკონფერენციაზე აღინიშნა, რომ საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან ერთადერთი პოლიტიკური ორგანიზაციაა, რომელიც ინტერნაციონალში რეგიონული პრინციპის გათვალისწინების გარეშე, ინდივიდუალურ წევრად გაერთიანდება. ეს, პარტიის ლიდერის განმარტებით, მას გარკვეულ უპირატესობებს მიანიჭებს, მისცემს შესაძლებლობას უშუალოდ ჩაერთოს ინტერნაციონალის საშინაო თუ საგარეო საქმიანობაში, რეალური გავლენა იქონიოს მის პოლიტიკურ ბიუროში. ეს კი, თავის მხრივ, ევროპულ პოლიტიკაში აქტიური ჩაბმის საშუალება და საქართველოს საკითხების ნებისმიერ დონეზე გატანის გარანტი იქნება. ინტერნაციონალში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ინდივიდუალურ წევრად გაერთიანების შესახებ იურიდიული დოკუმენტი გაფორმდება გაისად, 28 თებერვალს, ინტერნაციონალის პოლიტიკური ბიუროს სხდომაზე. ჟურნალისტებს ეცნობათ აგრეთვე, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქრისტიანულ-დემოკრატიული ინტერნაციონალის პირველი დამფუძნებელი ყრილობა თბილისში გაიმართება.

მათ გასაგონად, ვინც ცდილობს დაამახინჯოს ინტერნაციონალის არსი და მნიშვნელობა, გიორგი ჭანტურიამ განმარტა, რომ ეს არის დიდი საერთაშორისო ავტორიტეტისა და გავლენის მქონე პოლიტიკური და არა რელიგიური ორგანიზაცია, რომელშიც გაერთიანებული არიან სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობის პოლიტიკური ორგანიზაციები და მას არაფერი საერთო ეკუმენიზმთან არა აქვს, როგორც ამას მავანნი და მავანნი ამტკიცებენ.

გიორგი ჭანტურიამ პასუხი გასცა ჟურნალისტთა მრავალ შეკითხვას, რომლებიც შეეხებოდა სხვადასხვა პრობლემურ საკითხს, აღნიშნა, რომ დროა, ქვეყნის შიგნით უწესრიგობის მიზეზი საკუთარ თავში ვეძიოთ და, რაც მთავარია, მათ მოსაგვარებლად ის რეალური შესაძლებლობები მაინც გამოვიყენოთ, რომლებიც ნამდვილად გვაქვს.

მაია ალუდაური.

ყრილობა მოითხოვს

გაიმართა კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის საგანგებო ყრილობა, რომელმაც განიხილა საქართველოს დღევანდელი ცხოვრების აქტუალური საკითხები. ყრილობამ მიიღო მიმართვა საქართველოს მოსახლეობისა და პარლამენტისადმი, რომელშიც ნათქვამია:

გამოცხადდეს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობა. მთელი ხელისუფლება გადაეცეს სახელმწიფოს მეთაურს ედუარდ შევარდნაძეს. პარლამენტის უფლებამოსილება დროებით შეჩერდეს (იმუშაონ მხოლოდ კომისიებმა).

ეგრეთ წოდებული სახელმწიფო ქონება — საერთო-სახალხო ქონება არ გაიყიდოს, იგი ხალხს უნდა დაუბრუნდეს უსასყიდლოდ.

შემოღებულ იქნეს საბარათო სისტემა ძირითადი სასურსათო პროდუქტების მოსახლეობაზე ნორმირებული გაცემის გარანტიით.

სასწრაფოდ ჩატარდეს ქ. თბილისის მერიის არჩევნები, ხოლო მთელ ქვეყანაში ადგილობრივი ხელისუფლების არჩევნები მოეწყოს გაზაფხულზე.

დღის სინათლის რაციონალური გამოყენების მიზნით დრო გადაიწიოს წინ ორი საათით.

საყოველთაო-სამხედრო სამსახური მართლაც საყოველთაო გახდეს.

შეწყდეს შეიარაღებულ პირთა თარეში.

რესპუბლიკელები

20 დეკემბერს გაიმართა რესპუბლიკური პარტიისა და პოლიტიკური ორგანიზაცია „დსს"-ის რიგგარეშე ყრილობები. დღის წესრიგში იდგა საკითხი ამ ორგანიზაციათა გაერთიანების შესახებ. მას შემდეგ, რაც რესპუბლიკური პარტიისა და „დსს"-ის ყრილობებმა ცალ-ცალკე მხარი დაუჭირეს გაერთიანებას, გაიმართა ერთობლივი სხდომა. გადაწყდა, რომ გაერთიანებული პოლიტიკური ორგანიზაცია განაგრძობს საქმიანობას რესპუბლიკური პარტიის სახელწოდებით. ამავე დროს, საკუთარი წესდების საფუძველზე წარმართავს საქმიანობას საზოგადოებრივი ორგანიზაცია „დსს"-ი.

რესპუბლიკური პარტიის გამაერთიანებელმა ყრილობამ აირჩია პარტიის ხელმძღვანელი ორგანო — ეროვნული კომიტეტი 19 კაცის შემადგენლობით, აგრეთვე დაამტკიცა პარტიის საბჭოს კომპლექტაციის წესი. პარტიის საბჭოს პირველი სხდომა გაიმართება 30 იანვარს. მომავალი წლის 21 მაისს გაიმართება რესპუბლიკური პარტიის მორიგი ყრილობა, რომელიც მიიღებს პარტიის პროგრამას და წესდების ახალ რედაქციას.

27 დეკემბერს გამართულ ეროვნული კომიტეტის სხდომაზე რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ბატონი ვახტანგ ძაბირაძე.

გაერთიანებასთან დაკავშირებით წარმოებს რესპუბლიკური პარტიისა და საზოგადოებრივი ორგანიზაცია „დსს"-ის წევრთა ხელახალი რეგისტრაცია ყოველდღიურად 10-დან 18 საათამდე, მისამართით: თბილისი, კოლოუხის ქ. № 13. ტელეფონი 95-77-88.

რესპუბლიკური პარტიის საინფორმაციო სამსახური.

დასავლეთის ფრონტზე ცვლილებაა

ელმირა ხაირუტდინოვა, ერთ-ერთი სადესანტო ბატალიონის სანინსტრუქტორი, „ტუ-154"-ის მეორე სალონის ფარდას ამოეფარა და ატირდა. 28-ში საღამოს თბილისის თავზე დაჭრილი მეომარი გარდაიცვალა. ყველაფერი, რაც შეძლეს და რაც ხელთ ჰქონდათ, გაუკეთეს ელმირამ და ექიმმა, მაგრამ... ხელოვნური სუნთქვა უკვე აუცილებელ პროცედურას ჰგავდა. ცრემლებს არ მალავდნენ მეომარი ბიჭები.

აქედან შეხედეთ ომს

1991 წლის 29 დეკემბერს იმდროინდელი პრეზიდენტის ბრძანებით დააპატიმრეს საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, საქართველოს ავღანელთა კავშირის თავმჯდომარე ნოდარ გიორგაძე, რომელსაც მასთან მიმქონდა დოკუმენტად ჩამოყალიბებული წინადადებები ცეცხლის, ძმათა კვლის შეწყვეტის თაობაზე.

ეს გავიხსენეთ სოხუმ-ოჩამჩირის გზაზე, ავტომანქანაში. ნოდარს ავტომატი ეჭირა და ავტომატიანები ესხდნენ გვერდით: სოფელ ტამიშის მონაკვეთი განსაკუთრებით საშიშია დღესაც.

— 28 დეკემბერს მაშინდელი პროკურორის ოთახიდან დავურეკე და ველაპარაკე პრეზიდენტს. ადრეც მქონდა ნათქვამი, სამწუხაროდ უშედეგოდ.

თავიდანვე მოღალატე მიწოდა — ერს უღალატე, საქართველოსო. რა არის-მეთქი ღალატი? ქართველმა ქართველის სისხლი რომ არ უნდა დაღვაროს, ამისკენ რომ მოგიწოდებთ, თუ შეშინებული მინისტრი ფეხის ფრჩხილის სამკურნალოდ შვეიცარიაში რომ გარბის ამ დროს?

ვარწმუნებდი, რომ ოპოზიციასთან მოლაპარაკებაზე უნდა წამოვიდნენ „ბუნკერში" მყოფი დეპუტატების წარმომადგენლები. ბოლოს, როგორც იქნა, მიპასუხა, ვეცდებიო, მაგრამ აქ სრულიად საწინააღმდეგო განწყობილება აქვთ — მოლაპარაკების გაგონებაც არ უნდათო.

შევთანხმდით და საღამოს 10 საათამდე ველოდებოდი მის წარმომადგენლებს ჩიტაძის ქუჩის ბოლოში, პოლიკლინიკასთან.

არავინ მოვიდა. წაველი ტელევიზიაში, სადაც მოლაპარაკების მეორე ტური მიმდინარეობდა. იქ პრინციპულ და კონკრეტულ საკითხებზე შევთანხმდით, მაგრამ ყველაფერ ამას აზრი ეკარგებოდა, ჩვენს მოთხოვნას პრეზიდენტს თუ არ მივაწვდიდით წარმომადგენლობითი დელეგაციის მეშვეობით.

ასე იყო, თუ ისე, მარტოს მომიწია წასვლა.

იმ ღამეს ავღანელთა კავშირში ვიმუშავე დოკუმენტზე.

დილით უზენაესი საბჭოსკენ ჩვენი თანამშრომლის თემურ ბლიაძის მანქანით წამოვედი. პიკეტმა გაგვაჩერა. წინა ღამესაც გაგვაჩერეს და გადმოგვიყვანეს მანქანიდან, მიუხედავად იმისა, რომ ვუთხარი, ვინც ვიყავი. არ მესიამოვნა, ისეთი დამოკიდებულება ვიგრძენი, თუმცა არავის არაფერი უკადრებია.

გაგვაჩერა იმ დილით პიკეტმა. ოთხნი შემართული ავტომატებით შემოეწყვნენ ავტომანქანას. ტაბელური იარაღის ჩაბარება მთხოვეს.

— რამე ხომ არ გეშლებათ? — ვეკითხები.

— სწორედ თქვენ გვჭირდებით, — მიპასუხა, არ ვიცი, საიდან იქ გაჩენილმა დეპუტატმა მელაშვილმა.

აუხსენი, რომ პრეზიდენტთან მნიშვნელოვანი მასალა მიმაქვს.

— სწორედ პრეზიდენტთან წაგიყვანთ.

ვამჩნევ ცინიკურ შეფერილობას ამ პასუხებში, მაგრამ უფლება არა მაქვს, ავყვე. სხვა მისია მაკისრია. ჩავაბარე იარაღი. ხელბორკილი გამიყარეს და ჩამიყვანეს „ბუნკერში". იქ უკვე აღარავინ მალავდა ჩემდამი მტრულ დამოკიდებულებას. იყვნენ მათ შორის ისინიც, ვინც ახლა უკვე ჩვენთანაც აქტიურობს.

ჯერ კახელი რომ არის, ვეტექიმი, ის შემოვიდა...

— მოლოდინაშვილი.

— ნუგზარ მოლოდინაშვილი.

ისევ გამიჩხრიკეს.

შემოვიდა გამსახურდია და სამი პრეტენზია წამომიყენა: რომ მოსალაპარაკებლად წავედი მოღალატეებთან და კრიმინალურ ელემენტებთან, რომ თურმე მე კიტოვანს ჩამოვუყვანე ათი თუ ოცი „ბეტეერი", ათი ტანკი და რომ დასავლეთიდან შემოვიტანე ზესაიდუმლო ქიმიური იარაღი, რომელიც დღე-დღეზე კიტოვანმა უნდა გამოიყენოს „ბუნკერის" წინააღმდეგ.

— გჯერათ-მეთქი, რასაც მაბრალებთ?

— ასე ამბობენო.

საათ-ნახევარს-ორ საათს გაგრძელდა ეს საუბარი და თითქოს დავაჯერე ჩემი მოქმედების სისწორეში, ყოველ შემთხვევაში, ასე განაცხადა და მოლოდინაშვილიც დაეთანხმა.

ტყვეების გაცვლაზეც მოვილაპარაკეთ.

გამოსვლის წინ გამსახურდიამ მითხრა, პარლამენტი ითხოვს შენთან შეხვედრას, ყველაფერი გადაწყვეტილია და ეს ფორმალური აქტი იქნებაო. და აქ გამოჩნდა მისი ორპირი ბუნება: ჩვენს მიერ წარდგენილი წინადადებების არგუმენტაცია ისეთი იყო, რომ საწინააღმდეგოს ვერაფერს იტყოდა, უბრალოდ, სხვა გზა არც არსებობდა.

მაგრამ არც პრეზიდენტობიდან აპირებდა გადადგომას, არც თავისი უფლებების შეკვეცას და ჩემთან ანგარიშის გასწორება პარლამენტს გადაულოცა: იცოდა, სადაც და რისთვისაც მეპატიჟებოდა.

შემიყვანეს დარბაზში, სადაც ადრე ბუფეტი იყო, იქ. ორი ავტომატიანი უკან დამიყენეს და დაიწყო ანგარიშის გასწორება სასიკვდილოდ განწირულ კაცთან გაავებული ბრბოსი, რომელსაც პარლამენტი ერქვა.

— ჩვენ აქ შევქმენით სამხედრო ტრიბუნალი და თქვენ დასახვრეტი ხართო. ხომ ხვდებით ამას?

— ვერა-მეთქი, ვერ ვხვდები, რატომ ვექვემდებარები სასჯელს საერთოდ.

ასე გაგრძელდა კარგა ხანს, გახსენებაც არ ღირს... დასასრულისკენ რომ წავიდა, მაშინ წამოხტა მანანა ძოძუაშვილი და იკივლა — ამ კაცს აქედან ცოცხალს თუ გაუშვებთ, თავს მოვიკლავ და თქვენს ნამუსზე იქნებაო ჩემი სიკვდილი.

ამას მოითხოვდა ყველაზე უფრო ჰუმანური პროფესიის წარმომადგენელი — ექიმი.

გაოგნდა პარლამენტი. გურამ პეტრიაშვილმაც კი თვალები დახარა. ასე მომეჩვენა...

ხელბორკილდადებული გამომიყვანეს და ყველასთვის ცნობილ წამების ოთახში ამოვჩნდი.

აქ დაიწყო ნოდარ გიორგაძის კაპიტალური დაკითხვები. ბესო მამუკელაშვილი და კოპალიანი (ვაჭრობის მაშინდელი მინისტრი), მერე კოპალიანის მამა, ეს შემთხვევითი კაცი, აქტიურობდნენ.

— ერთი წელიწადი გავიდა მას შემდეგ და დაგრჩათ, ალბათ, ტკივილის და შეურაცხყოფის გრძნობა.

— ამოუშლელად გამყვება სიცოცხლის ბოლომდე, რასაც მე იქ ვუყურე — ადამიანების წამება... არც მალავდნენ, რადგან გადაწყვეტილი ჰქონდათ, აქ უნდა მოვეკალით. ჩემს თვალწინ კაცი დახვრიტეს.

როგორ უნდა გასულიყვნენ ეს ჯალათები ქუჩაში, ხალხში?! ხომ დამთავრდებოდა ეს „ბუნკერი"? მოიგებდნენ, თუ წააგებდნენ, ოჯახებს ხომ უნდა დაბრუნებოდნენ? როგორ შეძლებდნენ საზოგადოებასთან ურთიერთობას?!

მარტო ჯალათები კი არა, ყველა, ვინც იქ იყო, მათ შორის, დეპუტატებიც.

ამ კითხვებს პასუხი ვერ მოვუძებნე.

იქ ისეთი საერთო ფსიქოზი იყო, რომ ნორმალური ვერ დარჩებოდა ადამიანი. ნორმალურობა საკუთარი თავის გაწირვას ნიშნავდა, ერის მოღალატედ გამოაცხადებდნენ.

ამიტომ ვერ ვამართლებ იმათ, ვისაც „ბუნკერიდან" გამოსვლის საშუალება ჰქონდა და ისევ უკან ბრუნდებოდა, თუმცა იყვნენ ისეთებიც, ვისაც გამოსვლა უნდოდა და ვერ ახერხებდა. თქმით ხომ ვერაფერს ამბობდნენ და ეს გასაგებია.

— ესე იგი ბუნკერში რეალიზდებოდა გამსახურდიას თეზისი — საქართველო ჩემთან ერთად უნდა დაიღუპოსო?

— სხვა დასკვნას ვერ გავაკეთებ: მათთვის მთავარი იყო, რომ პრეზიდენტი პრეზიდენტად დარჩენილიყო, მაგრამ ეს ერთგულების გამოხატულება კი არ იყო, ისტერიკა იყო, გონების დაბნელება.

მათთვის მნიშვნელობა არა ჰქონდა — დარჩებოდა საქართველოში 5 მილიონი თუ 500 ათასი კაცი, ერთიანი საქართველო თუ მარტო თბილისი, მთავარია, პრეზიდენტად გამსახურდია ყოფილიყო და ისინი ტკიპებივით მას შემოწებებოდნენ.

თავდაცვის საბჭოს წევრი ვიყავი და არა ერთხელ მითქვამს პრეზიდენტისათვის, რომ საქართველოს გახლეჩის მისეული პოლიტიკა — თბილისი და არათბილისი, დამღუპველია.

4 ოქტომბერს ოპოზიციის მიტინგს რომ ესროლეს — გახსოვთ ალბათ, მეორე დღეს გამარჯვების ტაშფანდური ჰქონდათ გამართული. ვერ მოვითმინე და ვუთხარი. — საქართველოს პრეზიდენტი ქართველებზე გამარჯვებას არ უნდა ზეიმობდეს-მეთქი.

სერიოზულად შევეკამათე და მაშინ მითხრა, რომ მე ყოველთვის ტენდენციურად და უარყოფითად ვმსჯელობ მასზე.

შემიძლია-მეთქი სხვებივით გაქოთ მაგრამ ეს გზა ხომ კრახისკენ მიდის?

ისეთი შანსი ისტორიაში გამორჩეულად შესვლისა, რომელიც გამსახურდიას ჰქონდა, რამდენიმე საუკუნეში ერთხელ თუ ჩნდება. ესეც ვუთხარი, არც ის დავუმალე, რომ იმ ნაბიჯების გამო, რომლებსაც იგი დგამს, ერის მიერ დასაწყევლ ადამიანად შეიძლება იქცეს.

ისტორიული შანსი გაუშვა ხელიდან.

— მაგრამ, ამასთან ერთად, თვითონაც უნდა ყოფილიყო პიროვნება.

— იყო შემთხვევები, შეხვდებოდი, დაგიჯდებოდა, გესაუბრებოდა. გესიამოვნებოდა გამართული აზრი და მსჯელობა.

ამ საუბარზე დაყრდნობით, შეთანხმებაზე დაფუძნებით დოკუმენტს შევადგენდი, მივუტანდი მეორე დილით და იმავე საკითხებზე, რომლებზეც და როგორც შევთანხმდით, სრულიად საწინააღმდეგო, საპირისპირო პოლუსის დოკუმენტი დამხვდებოდა მის მიერ უკვე ხელმოწერილი. ვინ შევიდა და რამ გადაუტრიალა ასე გონება? ვინ დაუწერა? გაოგნებული ვრჩებოდი.

— ხომ არ მიგაჩნიათ, რომ ხალხმა, ცოტა არ იყოს, მალე დაივიწყა ის, რაც „ბუნკერში" ხდებოდა?

— მე თუ მკითხავთ, მივესალმები ამ მალე დავიწყებას.

ჯერ ერთი, ხალხმა ყველაფერი არ იცის, რაც იქ დატრიალდა. ამას არც ისტორიული შეფასება მისცემია, არც პოლიტიკური.

ვალდებულია თუ არა პარლამენტი შეაფასოს ის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენები, რომლებიც ბოლო წელიწად-ნახევარში ქართულ საზოგადოებრივ ორგანიზმს ახასიათებდა?

ამით უნდა დაეწყო, ჩემი აზრით, ახალ პარლამენტს თავისი მოღვაწეობა.

მიზნის მისაღწევად, თუ ასეთი გვაქვს და გვაქვს ნამდვილად, საჭიროა იმ საზოგადოებრივი ურთიერთობების ანალიზი, რომლიდანაც გამოსვლას ვაპირებთ, სხვაგვარად მიზნისკენ ვერ ვივლით,

ხალხმა რომ დაივიწყა, თავისთავად, კარგია, მეც სიამოვნებით დავივიწყებდი, საკუთარი მეხსიერება რომ არ მიშლიდეს ხელს.

დღეს ნოდარ გიორგაძე ომის ერთ-ერთი ორგანიზატორია, აფხაზეთში მიმდინარე ომისა. ნუ ეძებთ წინააღმდეგობას; იქიდანაც შეხედეთ ამ ომს — ერთი წლის წინანდელი საქართველოდან.

ამაზე კიდევ გვექნება საუბარი იმ ომზე, რომელშიც მივდივართ. მივდივართ კი „ავღანელებთან", რომლებიც ახლა იქ იბრძვიან.

არმაზ სანებლიძე.

ოჩამჩირე-თბილისი.

01
МАЛЫШ
АПСНЫ

სურათზე: აფხაზი ექსტრემისტებისთვის წართმეული ტექნიკა ახლა ჩვენი შენაერთების შეიარაღებაშია.

ავტორის ფოტო.

გზა განვლილი და გზა სამერმისო

მიმდინარე წლის 24 ნოემბერი ისტორიულ დღედ დარჩება ყოფილი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტისათვის. ამ დღეს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით მას სამედიცინო უნივერსიტეტი ეწოდა. ამასთან დაკავშირებით გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" კორესპონდენტი შეხვდა სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორს პროფესორ რამაზ ხეცურიანს და სთხოვა პასუხი გაეცა რამდენიმე შეკითხვაზე.

სანამ ინტერვიუს შემოგთავაზებდეთ, ალბათ, მკითხველთათვის საინტერესო იქნება, ვინ არის ახალი უნივერსიტეტის პირველი რექტორი, „საიდან მოვიდა" იგი.

გვესაუბრება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი პროფესორი

რამაზ ხეცურიანი.

ბატონი რამაზ გრიგოლის ძე ხეცურიანი 48 წლისაა. 1967 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა სკოლა, იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე, რომელიც 1973 წელს წარჩინებით დაასრულა და იქვე განაგრძო სწავლა ასპირანტურაში ნორმალური ანატომიის კათედრაზე. 1978 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1989 წელს სადოქტორო დისერტაცია. არის ევროპის პლაცენტოლოგთა ასოციაციის წევრი; ავტორია 58 სამეცნიერო შრომისა, აქედან ერთი, სახელმძღვანელო — „ნორმალური ანატომია — ფიზიოლოგიის საფუძვლები" მალე გამოვა; 1991 წელს აირჩიეს პრორექტორად სამკურნალო და სუბორდინაციის დარგში. ბატონი რამაზ ხეცურიანი პირველი რექტორია, რომელიც პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა პირველივე ფარული კენჭისყრით, ხმათა დიდი უმრავლესობით აირჩიეს. ცოლშვილიანია, მეუღლე პოლიკლინიკური და გადაუდებელი თერაპიის კათედრის ასისტენტია, ქალიშვილიც იქვე სწავლობს, ვაჟი 14 წლისაა.



— ბატონო რამაზ, ჩვენს რესპუბლიკას უმაღლესი სასწავლებლები არ აკლია, ბოლო ხანს შემოგვემატა უნივერსიტეტებიც, მაგრამ სამედიცინო ინსტიტუტის სტატუსის შეცვლას საზოგადოებრიობა მართლაც კმაყოფილებით შეხვდა. ბუნებრივია, ალბათ თქვენი პროფესორ-მასწავლებლობა, სტუდენტობა ამას განსაკუთრებული სიხარულით აღიქვამს.

ჩვენი გაზეთის მკითხველების სახელით გილოცავთ და შემდგომ გამარჯვებებს გისურვებთ.

— გმადლობთ. ჩვენთან ყველა აღფრთოვანებით შეხვდა ინსტიტუტის უნივერსიტეტად გარდაქმნას. ეს დიდი პატივია, მაგრამ ამავე დროს უდიდეს მოვალეობასაც გვაკისრებს.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე 1948 წელს შექმნილ სამედიცინო ფაკულტეტს, შემდგომში დამოუკიდებელ ინსტიტუტად რომ ჩამოყალიბდა, სრულიად დამსახურებულად მიენიჭა სამედიცინო უნივერსიტეტის სტატუსი. იგი ეროვნული სამედიცინო კადრების მომზადების ერთადერთი კერა იყო 75 წლის მანძილზე. ეს ფაქტი დაფასებაა იმ დიდი მეცნიერული ღვაწლისა, ინსტიტუტის თანამშრომლებმა რომ შეიტანეს ჩვენი რესპუბლიკისა და მსოფლიო სამედიცინო მეცნიერების საგანძურში.

— საუნივერსიტეტო სწავლა, მისი მეცნიერული პოტენციალის შემდგომი განვითარება გაცილებით მეტს გულისხმობს, ვიდრე ინსტიტუტისა იყო. ამ მხრივ როგორ დაიწყეთ. უფრო სწორად, როგორ განაგრძობთ მუშაობას. ხომ არ უძღოდა ამას გარკვეული მოსამზადებელი პერიოდი?

— საუნივერსიტეტო სწავლების პრინციპები განსხვავებულია დარგობრივი საინსტიტუტო სწავლების პრინციპებისაგან. დღეისათვის სამედიცინო უნივერსიტეტის მთელი კოლექტივი მზად არის და უკვე დაიწყო კიდეც სასწავლო პროცესის რეორგანიზაცია. არსებითად გარდაიქმნა სწავლების პროგრამები. ამას გარდა, ბოლო წლებში განსაკუთრებით გაფართოვდა ინსტიტუტის კონტაქტები საზღვარგარეთის ქვეყნების უმაღლეს სამედიცინო სკოლებთან. გვაქვს კავშირები ინგლისის, ამერიკის, იტალიის, ისრაელის, ავსტრიის, თურქეთის და სხვა ქვეყნების უნივერსიტეტებთან. რეგულარულად ხდება სტუდენტთა და თანამშრომელთა გაცვლა. შევიმუშავეთ სამეცნიერო და სასწავლო მუშაობის ერთობლივი პროგრამები.

— დღეისათვის ფაქტობრივად რა გაკეთდა, რისი თქმა შეიძლება?

— ამჟამად რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროსთან ერთად სამედიცინო უნივერსიტეტში ეროვნული სამხედრო ექიმების კადრების მომზადებისათვის სათანადო ფაკულტეტის შექმნის საკითხი დგას. შემუშავდა ახალი საუნივერსიტეტო სასწავლო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ზოგად სამეცნიერო და ჰუმანიტარული დისციპლინების სწავლების პირველ ეტაპზე პირველი ორი კურსის ჩათვლით დამთავრებას. სწავლების მეორე ეტაპი მეორე-მეოთხე კურსების ჩათვლით კლინიკური დისციპლინების სწავლებას მოიცავს, ხოლო მეხუთე-მეექვსე კურსები სწავლების მესამე ეტაპია და ალბათ ამ კურსების ბაზაზე ჩამოყალიბდება რეზიდენტურის ინსტიტუტი, რაც გულისხმობს სპეციალისტის პრაქტიკულ დახელოვნებას მედიცინის სხვადასხვა დარგების მიხედვით.

ამჟამად პირველ-მეორე კურსებზე უკვე თითოეულ აკადემიურ ჯგუფში თეორიულ დისციპლინებში სწავლობს 10 სტუდენტი, ხოლო კლინიკურში — 5, რაც მსოფლიო სტანდარტებს შეესაბამება.

— ახლა ბევრ უმაღლეს სასწავლებელში ჩივიან სტუდენტთა ინდიფერენტულობის, უდისციპლინობის, დაბალი აკადემიური მაჩვენებლების გამო. მალე იანვრის სესიებიც დაიწყება. თქვენთან როგორ არის ამ მხრივ საქმე?

— რესპუბლიკაში შექმნილმა სიტუაციამ თავისი კვალი ყველა სფეროს დააჩნია, მაგრამ ჩვენი კოლექტივის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ლექცია-პრაქტიკული მეცადინეობების გაცდენები ამ ვითარებაშიც მინიმუმამდეა დაყვანილი.

ალბათ ჩვენმა სტუდენტობამ გაითავისა ის გარემოება, რომ მაღალკვალიფიციური ექიმის მომზადებისათვის კოლოსალური შრომა და პრაქტიკული დახელოვნებაა საჭირო. ამიტომ ჩვენი აუდიტორიები და ლაბორატორიები მუდამ სავსეა. განსაკუთრებით აღსანიშნავია სპეციალობების ასათვისებლად პრაქტიკულ კურაციებზე სუბორდინატორთა აქტივობა.

რაც შეეხება იანვრის სესიებს, უნივერსიტეტი მას მომზადებული შეხვდა. წელს პირველად და მომავალშიც ალბათ ყოველთვის ასე იქნება, მსოფლიოს წამყვანი უძლიერესი სასწავლებლების მსგავსად ყველა გადასაყვანი სახელმწიფო გამოცდა ტესტირებული მეთოდით ჩატარდება.

— ბატონო რამაზ, ვისაც გაცნობიერებული აქვს ჩვენი ქვეყნის ამჟამინდელი მდგომარეობა, ბუნებრივია ცდილობს შესაძლებლობის მაქსიმუმი გამოავლინოს, ლექტორი იქნება ის თუ სტუდენტი.

— საამისო პირობა ჩვენ უკვე შევქმენით. თითოეულ პროფესორთან და დოცენტთან ჯგუფში მყოფი 5-5 სტუდენტი მთელი დატვირთვით მუშაობს. თანდათან შეიქმნება მაღალკვალიფიციური სპეციალისტების გამოშვების ბაზა, რომელთა ნაკლებობასაც, მიუხედავად ექიმთა საერთო სიჭარბისა, მწვავედ განიცდის ჩვენი რესპუბლიკა.

ამის შესაბამისად სტუდენტები დაინტერესებული არიან დაეუფლონ თავიანთ პროფესიას ისე, რომ ზოგიერთ მათგანს საშუალება მიეცეს სახელმწიფო გამოცდები ექიმის საერთაშორისო სერტიფიკატზე ჩააბაროს, რომლის მოთხოვნებს ისინი უკვე იცნობენ და ზოგიერთი მუშაობს კიდეც მასზე. ამის დასტურია ის, რომ პირველ და მეორეკურსელთა თხოვნით ჩამოყალიბდა ინგლისურენოვანი აკადემიური ჯგუფები, სადაც დამატებითი სწავლება ინგლისურ ენაზეა.

— საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში თქვენი სტუდენტებიც იბრძვიან. ალბათ, მოხალისედ წავიდნენ ბიჭები.

— დიახ, ყველა მოხალისეა, ოღონდ რექტორატის რჩევითა და მხარდაჭერით მათ სპეციალური წვრთნა გაიარეს ჩვენივე სამხედრო კათედრაზე, ისინი ფრონტის წინა ხაზზე არიან სხვადასხვა ბრიგადებსა და ჯგუფებში და სანინსტრუქტორებისა და ფერშლების მოვალეობას ასრულებენ.

— როგორც ვიცით, სამედიცინო უნივერსიტეტს გარკვეული სირთულეები შეექმნა იმ დადებითქულიან აბიტურიენტებთან დაკავშირებით, რომლებიც ვერ მოხვდნენ უმაღლეს სასწავლებელში. რას გვეტყოდით ამის შესახებ?

— მიმდინარე წელს ჩვენ სასწავლებელში ზემდგომი ორგანოების უდავოდ სწორი გადაწყვეტილებით საგრძნობლად შემცირდა მისაღები კონტინგენტი, სამწუხაროდ დიდი კონკურსის გამო კარგად მომზადებულ აბიტურიენტთა გარკვეული ნაწილი ვერ ჩაირიცხა. წელს კი ახლადჩარიცხულ სტუდენტთა 41 აკადემიური ჯგუფი შეიქმნა. თითოეულ ჯგუფში 10 სტუდენტია. ეს ზღვარია, პედაგოგიური კოლექტივი მაქსიმალურად არის დატვირთული, სწორედ ამიტომ უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ უარი თქვა მათ ჩარიცხვაზე. სამეცნიერო საბჭომ ამავე მოტივით უარი თქვა ყოფილი საბჭოთა კავშირის ქალაქებიდან სტუდენტთა გადმოყვანაზე. დღეს ხომ სამედიცინო უნივერსიტეტში 6000-მდე სტუდენტი სწავლობს 2000-ის ნაცვლად. მადლიერებით უნდა მოვიხსენიოთ ყოფილი სახელმწიფო საბჭოს განათლების კომისია და მისი თავმჯდომარე ბატონი ნიკო ჭავჭავაძე, რომელთა ძალისხმევით თითქმის ყველა ქართველი სტუდენტი გადმოიყვანეს ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტთან არსებულ სამედიცინო ინსტიტუტში.

ბედნიერად ვგრძნობ თავს იმის გამო, რომ ამ დაძაბულ შრომაში თანამიგრძნობს და მხარში მიდგას კოლექტივი და სტუდენტობა. ვიმედოვნებ, რომ ჩვენი უნივერსიტეტი სასწავლო პროცესითა და სამეცნიერო მოღვაწეობით მართლაც გაამართლებს ამ საპატიო სახელწოდებას. ამაღლდება ცივილიზებულ სახელმწიფოთა უნივერსიტეტების დონემდე.

ბელა დურგლიშვილი.

რეპლიკა

სოფლის შენებას რა უნდა?!

ძვირფასო თბილისელებო! კარს მოგვადგა ახალი წელი, ანუ იმ ტკივილიანი დღეების წლისთავი, როცა დაინგრა და დაიწვა რუსთაველის პროსპექტი და თავისუფლების მოედანი. გავკადნიერდები და თქვენს გასაგონად ერთი შეკითხვით მივმართავ ქალაქის მთავარ არქიტექტორს ბატონ ირაკლი მასხარაშვილს:

— ბატონო ირაკლი, თუ ღამის თბილისში ფრთხილად არ ვიარეთ, სად ამოვყოფთ თავს?

— კომერციული მაღაზიების ჩასავლელში, რომლებიც ასე ხაფანგებივით არის დაგებული.

კომერციული ჯიხურებით ისედაც შევიწროებულ ტროტუარებზე. მე კომერსანტების წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ ქალაქის არქიტექტურულ იერ-სახესაც ხომ უნდა მიხედვა. ჩვენს თვალწინ მრავალი საეჭვო საინჟინრო-არქიტექტურული ღირებულების ლოჯია მიშენდა საცხოვრებელ სახლებს სკვერების, ბავშვთა სათამაშო მოედნების ხარჯზე, უკანონო გარაჟების მშენებლობაზე აღარას ვამბობ, რადგან უკანონო სახლებმაც სოკოებივით იმრავლა. ამაზე ბევრი დაიწერა, ბევრი სატელევიზიო სიუჟეტი მომზადდა, მაგრამ... ქარავანი მიდის!

ვიფიქრე, ეს „წვრილმანია", არქიტექტორებს ჩიტი ბდღვნად არ უღირთ და მთელი ყურადღება რუსთაველის პროსპექტისა და მისი შემოგარენის აღდგენაზე აქვთ კონცენტრირებული-მეთქი. ისიც კარგად გვახსოვს, ასეთი ფონდიც შეიქმნა და თბილისელებმა როგორც შევძელით, ისე შევეწიეთ გამოცხადებულ სახელმწიფო ხაზინას. მე თბილისელი ვარ და, არ დაგიმალავთ, ძალზე ვარ დაინტერესებული რუსთაველის პროსპექტის აღდგენით, უბინაოთა ბინით დაკმაყოფილებით... და როცა პირველი სკოლის სარესტავრაციო სამუშაოები დაიწყო, გამიხარდა — ამაში მეც მაქვს წვლილი-მეთქი. მას თურმე მოსკოვის მერია აფინანსებდა. როცა თავისუფლების მოედნის № 4-ში გადარჩენილი ფასადის აღდგენა დაიწყო, გამიხარდა — ამაში მაინც მიმიძღვის წვლილი-მეთქი, მაგრამ... ამაზე თქვენის ნებართვით ცოტა ვრცლად ვიტყვი და, ვფიქრობ, მკითხველისთვისაც მთლად უინტერესო არ იქნება: ამ მისამართზე ინსტიტუტი „საქშახტპროექტი" იყო განთავსებული (ამიერკავკასიის სამხედრო შტაბის ყოფილი შენობა). დაზიანებულ შენობას მის მფლობელთან შეუთანხმებლად მოანგრიეს გადარჩენილი ნაწილი. მხოლოდ საზოგადოების, ძეგლთა დაცვის სამმართველოს ხელმძღვანელობისა და ძველი თბილისელის, ქალაქის მერის ბატონ ოთარ ლითანიშვილის უშუალო ჩარევით შეწყდა ეს აქცია და გაჩნდა ამ ისტორიული შენობის გადარჩენის შანსი, თუმცა ამ თვითნებური ნგრევის დროს გადარჩენილი კედლები უფრო დაზიანდა, რამაც, ბუნებრივია, ტექნიკურად გაართულა და მატერიალურად გააძვირა აღდგენითი სამუშაოები.

უპეროდ დარჩენილი „საქშახტპროექტის" კოლექტივი მრავალი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა. მათ გამონახეს ინვესტორები და გადაწყვიტეს საკუთარი სახსრებით აღედგინათ კუთვნილი ისტორიული შენობა, რითაც ცარიელ ხაზინასაც შევხიდებოდნენ და რესპუბლიკასაც შეუნარჩუნებდნენ ამიერკავკასიაში ერთადერთ სამთო პროფილის საპროექტო ინსტიტუტს. რესპუბლიკის მთავრობამ სხვადასხვა სამინისტროსთან, უწყებასთან და მერიასთან ერთად უმოკლეს დროში შეისწავლა ეს წინადადება, მოიწონა იგი და გამოსცა განკარგულება, რომლითაც „საქშახტპროექტს" თანამონაწილე საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად დაევალა საკუთარი სახსრებით დაეპროექტებინა და აღედგინა ეს შენობა.

წინააღმდეგობათა დაძლევის გზით დაიწყო ამ დავალების შესრულება: მთავარმა არქიტექტურულ-დაგეგმარებითმა სამმართველომ უარგუმენტო გაჭიანურების შემდეგ ორი თვის დაგვიანებით გასცა მშენებლობის დასაწყებად აუცილებელი ტექნიკური დოკუმენტაცია, რამაც შეაფერხა სწრაფი ტემპი. ეს კი იმითაც იყო ცუდი, რომ შენობის გამაგრების სამუშაოები წარმოებს არა ბიუჯეტის ხარჯზე, არამედ „საქშახტპროექტისა" და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახსრებით, რომლებსაც, ბუნებრივია, ძალზე ეჩქარებათ შენობის გამაგრება და აღდგენა, რადგან საკუთარ ფულს ყველა მომჭირნედ ხარჯავს.

მიუხედავად წინააღმდეგობებისა, შენობა მაინც შენდება. თვალს უხარია ხარაჩოები და მოფუსფუსე სამშენებლო მოედანი. იმედია, რაღაც შენდება, ესე იგი გვეშველება და არა მარტო ეს შენობა დაიბრუნებს ისტორიულ არქიტექტურულ სახეს, ყოფილი ბანკის, საიუველირო მაღაზიის, ვიზების სამმართველოს ტერიტორიებიც გაიწმინდება გადამწვარი ნანგრევებისაგან და თბილისის ისტორიული ნაწილი კვლავ დედაქალაქის სამსახურში ჩადგება.

თუმცა ამ ცოტა ხნის წინათ მთავარი არქიტექტურულ-დაგეგმარებითი სამმართველოდან მიღებული ტელეფონოგრამის საფუძველზე შეაჩერეს თავისუფლების მოედნის № 4-ში მიმდინარე სამუშაოები: არ არის მშენებლობის ნებართვა და პროექტიც შეუთანხმებელიაო.

მოვიშველიოთ დოკუმენტები. „არქიტექტურულ-დაგეგმარებითი სამმართველოს ნებართვა № 82, მიეცა „საქშახტპროექტს" შენობის აღდგენითი სამუშაოების ჩატარებაზე". დოკუმენტი მეორე. „ოქმი № 16. 28 სექტემბერი. ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლის არქიტექტურულ-დაგეგმარებითი გადაწყვეტილება შეთანხმებულია ძეგლთა დაცვის სამმართველოსთან". დოკუმენტი მესამე — ეს დოკუმენტი 27 ოქტომბერს მიიღო სამმართველომ შესათანხმებლად, მაგრამ პასუხი დღემდე არ ჩანს.

ისევ წინააღმდეგობათა დაძლევის გზით! იბრძვის საზოგადოებაში ძველი და ახალი ფსიქოლოგია, ადმინისტრაციულ-მბრძანებლური და საბაზრო ეკონომიკის ფსიქოლოგია, ძნელად იკიდებს ფეხს ახალი, მაგრამ უკან სვლა აღარ იქნება. მადლობა ღმერთს, დღევანდელ მინისტრთა კაბინეტს ეს სახადი უკვე მოხდილი აქვს. ტელეფონოგრამით შეშფოთებულმა „საქშახტპროექტმა" კვლავ მთავრობას მიმართა, პასუხმაც არ დააყოვნა. აი, მისი სრული ტექსტი:

„№ 84/48, 09. 12. 92 წ. ბატონ ოთარ ლითანიშვილს. საკითხი არაერთხელ იყო განხილული, მიღებულია მთავრობის გადაწყვეტილება, გთხოვთ უზრუნველყოთ მისი შესრულება. ზურაბ კერვალიშვილი, ვიცე-პრემიერი".

პატივცემულო მკითხველო, ბატონო ირაკლი! ჟურნალისტური ლოგიკით აქ წერტილი უნდა დამესვა, მაგრამ ეს ჩემი მხრივ გულუბრყვილობა იქნებოდა, რადგან ყველამ კარგად ვიცით, რა ძნელია ძველის ნგრევა და ახლის დამკვიდრება აზროვნებაში, ტყუილად როდია ნათქვამი — ხეხერი ხარიხა რქაც ხნავსო. ამიტომ აქ წერტილის ნაცვლად მრავალწერტილს დავსვამ, არადა, ნეტა ვცდებოდე...

მიხეილ მჭედლიძე,
ჟურნალისტი, საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრი.

P. S. ნუ დაუკარგავთ მშრომელთა კოლექტივებს ინიციატივის სურვილს, ინვესტორებს კი, — ფულის დაბანდების ხალისს, თორემ სოფელს ვერ ავაშენებთ, ქალაქზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

აზერბაიჯანი იგივე პოზიციას ადგას თანამეგობრობის მიმართ

აზერბაიჯანის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ი. ღამბაროვმა პარლამენტის სხდომაზე განაცხადა, რომ რესპუბლიკის დელეგაცია თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურების მომავალ შეხვედრაზე მიიღებს მონაწილეობას როგორც მეთვალყურე.

რესპუბლიკის ხელმძღვანელობის პოზიცია თანამეგობრობის მიმართ უცვლელი რჩება: აზერბაიჯანი საჭიროდ ცნობს ყოფილი კავშირის რესპუბლიკებთან ურთიერთობის განვითარება-გაღრმავებას ორმხრივ სახელმწიფოთაშორის ხელშეკრულებათა საფუძველზე.

სოხბეტ მამედოვი,
(„იზვესტია").

1992 წელს მსოფლიოში დაიღუპა ჟურნალისტები

„საზღვრების არამცნობ რეპორტიორთა" ასოციაციის მოხსენებაში, რომელიც მადრიდში გამოქვეყნდა, ნათქვამია, რომ 1992 წლის განმავლობაში მკვლელთა მსხვერპლი გახდა 56 ჟურნალისტი.

წელს თურქეთში მოკლულია 12 რეპორტიორი, ყოფილ იუგოსლავიაში — 2, კოლუმბიაში დაიღუპა პრესის 5 წარმომადგენელი, ამდენივე ჟურნალისტი დახოცეს პერუში, 3-3 რეპორტიორი მოკლეს ტაჯიკეთსა და ჩადში.

როიტერი („იზვესტია").

კარგს არაფერს უნდა ველოდოთ?

თუ მაინცდამაინც არსებობს მორიგი დიდი რევოლუციის ან ახალი გამანადგურებელი ომის გაჩაღების საფრთხე, მას აუცილებლად უნდა ველოდოთ 1993 წელს. ამის მიზეზია ციურ მნათობთა უნიკალური განლაგება, რომლებიც ლამის მთელი 365 დღის განმავლობაში ხელს უწყობენ მხოლოდ მემარცხენე ექსტრემისტებსა და იარაღით მოვაჭრეებს. კაცობრიობის დანარჩენი ნაწილისათვის ახალ წელს არსებითად არ მოაქვს არავითარი პოზიტიური ცვლილებები საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე. ასეთი შავბნელი პროგნოზებით გამოვიდა აქ საახალწლო დღესასწაულების წინ ვენის ასტროლოგიური საზოგადოების ხელმძღვანელი ჰაინც ფიდელსბერგერი.

სიმშვიდის მთავარი ამღვრევები იქნებიან, მიაჩნია მას პლანეტები სატურნი და პლუტონი, რომლებსაც არაერთხელ გამოუვლენიათ თავიანთი დამანგრეველი ძალა. ცის კაბადონზე მათ ნეგატიურ განლაგებას წარსულში თან სდევდა ბევრი ტრაგიკული მოვლენა, მათ შორის ორი მსოფლიო ომის გაჩაღება. საბედისწერო კვადრატურა განმეორდება 1993 წელსაც, ოღონდ მხოლოდ ეს თუ იკმარებს... ყოველივე უბედურებას დაემატება ისიც, რომ პლანეტები აღმოჩნდებიან „მონათესავე" ზოდიაქურ თანავარსკვლავედში: სატურნი ეწვევა მერწყულს, პლუტონი — მორიელს. ასეთი „დამანგრეველი" განლაგება ამ ათასწლეულში, არწმუნებს ავსტრიელი ასტროლოგი, ჯერ არ აღნიშნულა, სამაგიეროდ მომავალ წელს იგი ორჯერ განმეორდება — 20 მარტსა და 9 ოქტომბერს.

კარიკატურისტის კომენტარი



მხატვარი ლევან ჭართაშვილი.

უდანაშაულო დამნაშავენი

ცისანა სიხარულიძე

ამ მძიმე და მშფოთვარე დღეებში ჩვენს ქვეყანას უამრავი საფიქრალ-საზრუნავი გაუჩნდა. მოიშალა ადამიანისათვის თითქმის ყველა საარსებო მნიშვნელობის ობიექტები, გაგვიჭირდა სულიერად, მატერიალურად, ეკონომიკურად. იმძლავრა ავადმყოფობამ. ამ დროს ადამიანის პირველი იმედი და მეგობარი სასწრაფო სამედიცინო დახმარებაა.

დავინტერესდით, თუ რა მდგომარეობაა დღეს ეს მეტად პასუხსაგები უბანი, და შევხვდით თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სადგურის მთავარი ექიმის მოვალეობის შემსრულებლის ოპერატიული სამსახურის უფროსს **ტიტე ვეკუას.**

— ჩვენი სამსახური ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, პასუხსაგები და მეტად საჭირო უბანია. დღის ყველას გვჭირს, მაგრამ ჩვენ, მით უმეტეს, ძალზე გვაფერხებს საწვავის უქონლობა. კვირის განმავლობაში მხოლოდ შვიდი ათასი ლიტრი ბენზინი მივიღეთ. ნორმალური მუშაობისათვის ეს მხოლოდ ერთი დღის მარაგია. ბენზინის მწვავე დეფიციტის გამო, სასწრაფო სამედიცინო ბრიგადების ავადმყოფებთან გაგზავნა მხოლოდ ცენტრალური ქვესადგურებიდან ხდება. ხშირად ავადმყოფს ვეხმარებით და კონსულტაციებს მხოლოდ ტელეფონით ვუწევთ. ეს იძულებითი ფორმაა. ზოგჯერ დღეში ათასზე მეტი გამოძახება გვაქვს, მაგრამ რეზერვების საფუძველზე მხოლოდ 300-400 გამოძახებას ვასრულებთ. საქართველოს ჯანმრთელობის სამინისტრო რაც შეიძლება გვეხმარება, მაგრამ ჯერჯერობით ხარვეზები მაინც გვაქვს მუშაობაში.

— რამდენი სასწრაფო დახმარების მანქანა გემსახურებათ?

— ამ მხრივ ძალზე საგანგაშო მდგომარეობაა. გასული წლების ტრაგიკული მოვლენების დროს, სასწრაფო-სამედიცინო დახმარების მანქანების თითქმის ერთი მესამედი მწყობრიდან გამოვიდა. ახლით შევსება კი ჯერჯერობით ვერ მოხერხდა. არც სათადარიგო ავტონაწილები გვაქვს. ადრე ჩვენს ავტობაზას რიგის ავტოქარხანა ამარაგებდა. ამჯერად მათთან ურთიერთობა აღარ გვაქვს, კონტაქტი გაწყვეტილია და ავტომანქანების შეკეთებაც აღარ ხდება. ამას დაუმატეთ სასწრაფო-სამედიცინო მანქანებზე თავდასხმები, გატაცების შემთხვევები და მიხვდებით, თუ რა მდგომარეობაშია ავტობაზა. მარტო ხუთი თვის განმავლობაში ოცდათექვსმეტი მანქანაა გატაცებული, ამიტომ არის, რომ მთელი დატვირთვით მხოლოდ № 1 და № 5 ცენტრალური ქვესადგურები მუშაობენ. ორივე ქვესადგური აეროპორტთან ახლოა. ძირითადად ისინი აფხაზეთიდან გადმოყვანილ დაჭრილების ევაკუაციას ახდენენ. ხშირია შემთხვევები, როცა დაჭრილები რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებშიც გადაჰყავთ; როგორც ხედავთ, მდგომარეობა რთულია. 123 სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადის ნაცვლად დღესდღეობით 30-40 მანქანით ავადმყოფებს მხოლოდ 30 ბრიგადა ემსახურება.

ჩვენს გასაჭირზე

— პარლამენტის ერთ-ერთ სხდომაზე სასწრაფო-სამედიცინო დახმარების მანქანების თხევად გაზზე გადაყვანის საკითხი დაისვა.

— მართალია, მაგრამ ჯერჯერობით ასეთი მანქანები არ მიგვიღია. სასურველი კი იყო, რადგან ჩვენი სამსახური წელში ოდნავ მაინც გაიმართებოდა.

— რას გვეტყოდით წამლების დეფიციტზე?

— წამლების დეფიციტი იმდენად არ გვაწუხებს, როგორც სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ავტობაზის ბენზინით მომარაგება. „საქნავთობპროდუქტების" ბაზამ ჩვენი უბნის ხელშეწყობაზე მეტად უნდა იზრუნოს. მოსახლეობის საყვედურები სამართლიანია. მათ ჩვენი დახმარება სჭირდებათ. გვირეკავენ, გვთხოვენ, ჩვენ კი მათ ვერ ვეხმარებით და ძალაუნებურად უდანაშაულო დამნაშავის როლში გამოვდივართ. საჭიროა, რაც მანქანები გვაქვს, ისინი მაინც გამოვიყენოთ, რომ მოქალაქეებს სამედიცინო დახმარება დროზე აღმოვუჩინოთ. ეს არა მარტო დედაქალაქის, არამედ მთელი რესპუბლიკის მასშტაბითაც არის მოსაგვარებელი.

მკლავდაუდებელი

დეკემბერში იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში მკლავჭიდელთა დიდ საერთაშორისო ტურნირზე გაიმარჯვა ორგზის მსოფლიო ჩემპიონმა მძიმე წონის ათლეტთა შორის ზაურ ცხადაძემ.

სპორტული სეზონის ამ ერთ-ერთ ბოლო საერთაშორისო ასპარეზობას თუ რატომ მოჰყვა განსაკუთრებული ინტერესი, ამას ზაურ ცხადაძესთან ჩვენი ინტერვიუდან შეიტყობთ.

— ზაურ, ტოკიომდე იყო ჟენევა და იქ მოპოვებული ოქროს მედალი. ჩვენს გაზეთში მასზე მხოლოდ მცირე ინფორმაცია დაიბეჭდა...

— ნოემბრის დასაწყისში შვეიცარიის ქალაქ ჟენევაში საქართველოს ნაკრები თერთმეტი მკლავჭიდელით გამოდიოდა მსოფლიოს ჩემპიონატში, სადაც გუნდური მეორე ადგილი მოვიპოვეთ ამერიკის შეერთებული შტატების პროფესიონალების შემდეგ.

ყველა გაკვირვებულია ქართველი მკლავჭიდელების ასეთი უეცარი აღზევებით. წამდაუწუმ გვეკითხებიან, თუ როგორ ვვარჯიშობთ, ვიკვებებით და ა. შ.

ჩვენი მხრივ, დავსძენთ, რომ ზაურ ცხადაძე ჟენევაში მეორედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი მძიმე წონაში. ამჯერად ზაური მკლავჭიდის ორივე სახეობაში ჩემპიონია — მარჯვენა, 1991 წელს ჯდომილა, ხოლო 1992 წელს დგომილა პოზიციაშიც გაიმარჯვა. ჟენევაში ვერცხლის მედლები მოიპოვეს ჯიმი მერაბიშვილმა, სოფრომ სანთელაძემ და დავით მელიძემ, ბრინჯაოსი — გელა ბეწუაშვილმა, ზაზა ბუგენიშვილმა და გია ხაჩიძემ.

— მაინც რამ განაპირობა ტრიუმფი?

— საერთოდ ახალ სპორტის სახეობას ქართველი სპორტსმენები ყოველთვის დიდი მონდომებით დაეუფლებიან ხოლმე. ასე იყო მთელ რიგ სპორტის სახეობებში. ოღონდ ზოგჯერ ქრება ხოლმე თავდაპირველი ჟინი. რაღაცას რომ მივაღწევთ, მერე ვზარმაცდებით, სამწუხაროდ...

— ეს სენი მკლავჭიდსაც ხომ არ ემუქრება?

— მკლავჭიდს დღეს ვახტანგ მუსელიანი თავკაცობს, სწორედ ასეთი კაცები სჭირდება არა მარტო ჩვენს, არამედ ნებისმიერ სპორტის სახეს.

ვახტანგი გამორჩეული პიროვნებაა. მისმა დაუშრეტელმა მონდომებამ არაფრისაგან შექმნა დიდი სპორტის ერთი დიდი უჯრედი...

— როგორც ვიცით, ტოკიოში საქართველოდან მარტო შენ იყავი ჩასული...

სურათზე: ზაურ ცხადაძე მეუღლესა და ვაჟიშვილთან ერთად.

— იაპონიაში ცნობილ ფეჭიფარას კლუბთან პროფესიონალთა ჭიდაობა კიქბოქსინგში კონტრაქტი მაქვს დადებული და ხშირად მიწევს იქ ყოფნა. მკლავჭიდელთა კომერციული ტურნირიც ჩემს იქ ყოფნას დაემთხვა. მეც ვისარგებლე ამ მომენტით. მით უმეტეს, კარგა ხანია ვნატრობდი უძლეველ ამერიკელ ბრზენკთან შეხვედრას... თურმე ამასვე ფიქრობდა ბრზენკიც.

რაც შეეხება ჩვენს ნაკრებს, უსახსრობამ შეუშალა ხელი იაპონიაში წასვლას.

ამას დაემთხვა ჩვენი უფროსი მწვრთნელის და ფედერაციის პრეზიდენტის ვახტანგ მუსელიანის მოუცლელობა, რომელიც, მოგეხსენებათ, საქართველოს პარლამენტის წევრია და უამრავი საქმე აქვს გასაკეთებელი.

— მთავარ გამარჯვებაზე რას გვეტყვით?

— მართლაც ასეა, წელს ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატები მოვიგე, ტოკიოში გამარჯვება კი სულ სხვაა, ყველაზე ძალიან ეს გამიხარდა, რადგანაც პირველად აქ დავამარცხე მსოფლიოს აბსოლუტურ ჩემპიონად აღიარებული ამერიკელი პროფესიონალი მკლავჭიდელი 28 წლის ჯონ რიჩარდ ბრზენკი (სხვათა შორის, მამამისიც პროფესიონალი იყო, ამჟამად კი მისი უმცროსი ძმა ჟანსიც პროფესიონალი მკლავჭიდელია) და პირველ ნომერ მკლავჭიდელად დამასახელეს მსოფლიოში.

ძალიან მინდოდა ჯონისთან შეხვედრა. ბოლოსდაბოლოს მისი ვალი მემართა. 2 წლის წინ, როცა მასთან დავმარცხდი, თქვენ წარმოიდგინეთ, მაშინვე ვირწმუნე, რომ მას აუცილებლად დავამარცხებდი (!). სულ ეს გრძნობა მიტრიალებდა თავში ტოკიოშიც.

ბრზენკი საშინლად ღონიერი და ცბიერი მკლავჭიდელია. თუ რა სტილით მოვიგე მასთან ბრძოლა, ძნელია პოპულარულად ენით ამის გადმოცემა. უფრო სწორად მე ის დავამარცხე მისივე ფინტით.

— ღონიერი მკლავი და კიდევ რა თვისებაა წარმატების საწინდარი?

— ამ კითხვას ხშირად მისვამენ. ზოგჯერ წარმოიდგინე ისეთი გოლიათებიც მოჰყავთ ჩემთან, რომლებიც იწევიან საკუთარ მანქანებს, აგორებენ „კამაზებს", იმორჩილებენ დიდ სიმძიმეებს და ა. შ. მათ თავისუფლად ვუწევ ხელს.

მსხვილი კუნთები ბევრს არაფერს წყვეტს. მე სიმძიმეების აწევაზე არც კი მივარჯიშნია. ძირითადად მაგიდასთან ვვარჯიშობ. ღონიერი მკლავის გარდა მკლავჭიდში საღი გონებრივი აზროვნებაა საჭირო.

ყველას თავისი ხელწერა აქვს, გადაწყვეტის სტილი. მე უძლიერესების მიმართ „ჩემი" ილეთი მაქვს დამუშავებული. ამას ხშირად ვიდეოფილმების დახმარებით ვახერხებ.

— სპორტის გარდა ალბათ სხვა გატაცებებიც გაქვს...

— განსაკუთრებით მიყვარს ნადირობა, რომ იტყვიან ნადირობის მონა ვარ, მაგრამ დღეს აღარ არის ასეთი გართობის დრო და განწყობა... იმედია, ყველაფერი გამოსწორდება და თავის კალაპოტში ჩადგება... მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ყველა ქართველ სპორტსმენს ბედნიერი და უკეთესი ახალი წელი ვუსურვო... ხოლო ქართველ ხალხს ჩვენი სპორტსმენების მიერ მოპოვებული გამარჯვებებით მიღებული სიხარული.

ესაუბრა
გაბრიელ ბარჯაძე.

სპორტულ ჟურნალისტთა აზრით

საქართველოს 1992 წლის საუკეთესო სპორტსმენად დასახელებულია 23 წლის ცხინვალელი ძალოსანი, ყველა უმაღლესი ტიტულის მფლობელი კახი კახიაშვილი. ასეთია საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის მიერ 32 სპორტულ რეპორტიორსა და მიმომხილველს შორის მოწყობილი გამოკითხვის შედეგი.

ახლახან საერთაშორისო ფედერაციის მიერ პლანეტის საუკეთესო ძალოსნად აღიარებულმა ქართველმა გოლიათმა შეფასების ათბალიანი სისტემით 318 ქულა მოაგროვა.

მეორე და მესამე ადგილებზე არიან ასევე ბარსელონის ოლიმპიური თამაშების ტრიუმფატორები — ძიუდოისტი **დავით ხახალეიშვილი** (275) და თავისუფალი სტილის მოჭიდავე **ლერი ხაბელოვი** (254).

მათ გარდა ათეულში შევიდნენ 1992 წლის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი მოკრივე **რამაზ პალიანი** (162), მოჭადრაკე **ნანა იოსელიანი**, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონობისათვის ბრძოლაში პრეტენდენტთა ფინალურ მატჩში გამოსვლის უფლება მოიპოვა (150), ბარსელონის „ბრინჯაოს" სამი მფლობელი — ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავე **გიორგი კოღუაშვილი** (98), ჩოგბურთელი **ლელა მესხი** (89) და თავისუფალი სტილის მოჭიდავე **დავით გობეჯიშვილი** (74), ორგზის მსოფლიო ჩემპიონი მკლავჭიდში **ზაურ ცხადაძე** (60) და **ხათუნა ქვრივიშვილი**, რომელმაც ბარსელონაში გუნდური მესამე ადგილი დაიკავა მშვილდოსნობაში — 53 ქულა.

სულ საუკეთესოთა ათეულის კანდიდატებად დასახელებული იყო 35 სპორტსმენი.

როგორც ვხედავთ, ჟურნალისტთა ათეული მცირედით განსხვავდება საქართველოს რესპუბლიკის სპორტის კომიტეტის მიერ დამტკიცებული ათეულისაგან.

ვულოცავთ!

ამ ფოტოსურათზე ქართული ფეხბურთის ორი ღვაწლმოსილი პიროვნებაა აღბეჭდილი — ნოდარ ახალკაცი და გივი ნოდია.

2 იანვარს ბატონ ნოდარს 55 წელი უსრულდება, ხოლო ბატონ გივის — 45.

ვარლამ ბენზიურის ფოტო

პირველი ტურის შემდეგ

თბილისში დამთავრდა საქართველოს კალათბურთელ ქალთა ეროვნული ჩემპიონატის პირველი ტური, რომელშიც რესპუბლიკის 7 გუნდი მონაწილეობს.

მეორე ტურის წინ, რომელიც ასევე დედაქალაქში გაიმართება, სატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობაა: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (12 ქულა), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (11), საქართველოს დამოუკიდებელი უნივერსიტეტი (10), ქუთაისის „მეობა" (9), თბილისის „ტანდემი" (8), გორის ეკონომიკური ინსტიტუტი (7) და თბილისის „მართვე" (6).

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკისა" და საქინფორმის კორესპონდენტები

მოვლენა • ფაქტი • კომენტარი

ხმა შორეული ოკეანეთიდან

ბატონო რედაქტორო! ნება გვიბოძეთ, თქვენი გაზეთის საშუალებით მივულოცოთ ახალი წელი ჩვენს სამშობლოს, ქართველ ხალხს.

შორეული ოკეანეთიდან თბომავალ „აკადემიკოს ვეკუას" ეკიპაჟი ქართველ ხალხს უსურვებს ჯანმრთელობას, ხალისსა და ეროვნულ თანხმობას, რაც მეტისმეტად სჭირდება ჩვენს ერს, განსაკუთრებით ახლა, ამ გაჭირვების ჟამს. ყოველთვის ვიყავით და ახლაც თქვენთან ვართ. თუ ქართველ ერში სასწრაფოდ არ გაღრმავდება დარბაისლური ეროვნული შეგნება, ჩვენ განწირული ვიქნებით. გვწამს, დადგება დრო, ქართველები ავანთებთ ჭეშმარიტი თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და დემოკრატიის სანთელს, რომელიც ღვთის წყალობით აღარასოდეს აღარ ჩაქრება ჩვენს სამშობლოში.

ეკიპაჟის სახელით — პროფესორი ზურაბ ხუციშვილი, თემურ ჩათამაძე, მურაზ ახალაძე, კოტე თავართქილაძე, იური კოშახიძე, მამუკა ქამელავა, ავთანდილ დოლიძე და სხვები.

გულითადობა და კეთილშობილება

საქართველოსათვის ამ მძიმე ხანაში ბევრი კეთილი ადამიანი უწვდის დახმარების ხელს თავის გაჭირვებულ თანამემამულეებს. ბევრი გულში ჩამწვდომი მოვლენა მოხდა თბილისელთა ამირან და თინათინ კიპაროიძეების ოჯახში. ახალგაზრდა ცოლ-ქმარს ექვსი შვილი ჰყავს. ვიწროდ არიან ოჯახში, იგი ერთოთახიან ბინაში ცხოვრობს. დერეფნისა და პატარა სამზარეულოს გარდა არავითარი სხვა სათავსი არა აქვს. მძიმე საბინაო პირობების გამო მშობლები იძულებული იყვნენ მშობლებისათვის გაეგზავნათ სოფელში 9 წლის გია, 10 წლის ნინო და 12 წლის გიორგი.

კარგი საახალწლო საჩუქარი მიართვა გაჭირვებულ ოჯახს ქალაქ თბილისის მცხოვრებმა მძღოლმა ლევან ამირანაშვილმა. იგი თავადაც ბოლოსწინა ბავშვი იყო ოჯახში, სადაც 9 შვილი იზრდებოდა და იცის, როგორ უჭირთ ასეთ ადამიანებს. ეს განსაკუთრებით იგრძნობა ახლანდელ დროში. თინათინ და ამირან კიპაროიძეების ოჯახს მან მიართვა შემნახველი სალაროს წიგნაკი მომთხოვნის სახელზე, რომელშიც 15 ათასი მანეთია.

მანამდე ლევან ამირანაშვილმა შოთა რუსთაველის სახელობის პროსპექტის აღდგენის ფონდში 60 ათასი მანეთი შეიტანა.

სურათზე: ლევან ამირანაშვილის შვილიშვილი სამი წლის ლევანი თავის თანატოლ პატარა ნათია კიპაროიძეს გადასცემს შემნახველ წიგნაკს, რომელშიც 15 ათასი მანეთი ირიცხება.

გივი კიკვაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

იანვარი ცივი იქნება

იანვარი ჩვენში წლის ყველაზე ცივი თვეა. კლიმატური მონაცემებით მისი საშუალო ტემპერატურა დასავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში მერყეობს 6-7 გრადუს სითბოს ფარგლებში, ქართლის ვაკესა და კახეთში 1 გრადუს სითბოდან 2 გრადუს ყინვამდე, მთიან რაიონებში 0-დან 5 გრადუს ყინვამდე, მაგრამ ცალკეულ წლებში ეს მონაცემები, საშუალო მრავალწლიური მნიშვნელობისაგან რამდენადმე იცვლება ხოლმე. ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმი დაბლობ რაიონებში აღწევს 17-25 გრადუს სითბოს, აბსოლუტური მინიმუმი დასავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში ეცემა 6-18, ქართლის ვაკესა და კახეთში 16-22 გრადუს ყინვამდე.

იანვარი სუბტროპიკულ ზონაში წლის წვიმიან თვეებს მიეკუთვნება. განსაკუთრებით ბევრი ნალექი მოდის აჭარის სანაპიროზე. აღმოსავლეთ საქართველოში ნალექების რაოდენობა შეადგენს 10-40 მმ-ს.

ჰიდრომეტეოროლოგიის რესპუბლიკური ცენტრის ამინდის გრძელვადიანი პროგნოზის მიხედვით, 1993 წლის იანვრის ჰაერის საშუალო ტემპერატურა საქართველოს ტერიტორიაზე მოსალოდნელია საშუალო მრავალწლიურ მნიშვნელობასთან ახლოს. თვის მეორე ნახევარში მოსალოდნელია აცივება და ამ დროს შესაძლებელია ტემპერატურამ დაიკლოს ღამით დასავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში 1-6 გრადუს ყინვამდე, ქვემო ქართლისა და კახეთის უმეტეს რაიონებში 7-12, რესპუბლიკის მთიან ზონაში, შიდა ქართლისა და ელდარის რაიონებში — 12-17, ხოლო მაღალმთიან რაიონებში — 18-23 გრადუს ყინვამდე.

ნალექების რაოდენობა ქართლის ვაკესა და ჩრდილო მთიან რაიონებში მოსალოდნელია საშუალო მრავალწლიურ რაოდენობაზე ნაკლები, რესპუბლიკის დანარჩენ რაიონებში უმეტესად მასთან ახლოს.

ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის ზამთრობისათვის საშიში ტემპერატურა მოსალოდნელი არ არის. მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მაღალმთიან რაიონებში ძლიერი ყინვებია ნავარაუდევი, მაგრამ საშემოდგომო კულტურებით ნათესი მინდვრები თოვლით იქნება დაფარული.

იანვარში, პროგნოზის მიხედვით საქართველოს მდინარეთა წყლიანობა მოსალოდნელია დასავლეთ საქართველოში ნორმასთან ახლოს და მასზე მეტი, აღმოსავლეთში — ნორმის ფარგლებში.

ამინდი

დეკემბერში საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბებული ანტისინოპტიკური პირობები ხელს უწყობდა სამრეწველო საწარმოების მიერ გამონაბოლქვი მავნე ნივთიერებების სწრაფ გაბნევას, რის შედეგადაც დიდ ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში ჰაერის გაჭუჭყიანების დონე ძირითადად ნორმის ფარგლებში იყო. გამონაკლისს შეადგენდა ქ. ქუთაისი, სადაც მტვრის კონცენტრაციის ერთჯერადმა მაქსიმუმმა ზღვრულად დასაშვებ ნორმას 8-ჯერ გადააჭარბა.

თვის განმავლობაში ჰაერის გამჭუჭყიანებელი ნივთიერებების მაღალი და ექსტრემალურად მაღალი კონცენტრაციები არ აღინიშნულა.

ნიკოლოზ ბერაძე,
„საქჰიდრომეტის" უფროსი.

ჩვენი მთა-ბარის ამბავი

სიყვარული სიყვარულის წილ...

ქართველმა საზოგადოებრიობამ, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში სიყვარულით აღნიშნა გამოჩენილი ფრანგი მეცნიერის, მარი ბროსეს დაბადების 190 წლისთავი. საიუბილეო სხდომის უშუალო ინიციატორები იყვნენ საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საისტორიო და გიორგი შარვაშიძის სახელობის საზოგადოებები.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა ანდრია აფაქიძემ, აკადემიკოსმა მარი ბროსეს დამსახურებაზე საქართველოს ისტორიის საკვანძო საკითხების შესწავლის საქმეში ისაუბრა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა არჩილ ბარამიძემ. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა მზექალა შანიძემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო მარი ბროსეს დიდი ღვაწლი „ქართლის ცხოვრების" ფრანგულ ენაზე ამეტყველებასა და მის მეცნიერულად შესწავლის საქმეში.

იყო სხვა საინტერესო გამოსვლებიც.

ქეთევან პავლიაშვილი.

ქარხანამ მეცხოველეობის ფერმა შეიძინა

გონიერება და წინდახედულობა გამოიჩინა ზესტაფონის კაბელის ქარხნის ხელმძღვანელობამ და სოფელ არგვეთის ყოფილი საბჭოთა მეურნეობიდან შეიძინა გაკოტრების პირას მდგარი მსხვილფეხა პირუტყვის ფერმა, რაშიც ხუთი მილიონი მანეთი გადაიხადა.

ახლა მეპატრონეობით მეცხოველეობის ფერმაში 100-მდე მეწველი ძროხაა. ფერმის შეძენის მთავარი მიზანია მეცხოველეობის პროდუქტებით დააკმაყოფილოს ქარხნის მუშა-მოსამსახურეები და რაიონის საბავშვო ორგანიზაციები.

ჰენრი შარიქაძე.

თამარისული კვერცხი — თბილისელებს

ექვსასი ათას ცალზე მეტი კვერცხი მოამზადეს ქალაქელებისათვის თამარისის მეფრინველეობის ფაბრიკის მუშაკებმა, რომლებმაც თავიანთი ტრანსპორტით დაიწყეს დედაქალაქში დიეტური პროდუქციის შემოტანა.

რ. ახმეტელი.

განმარტება

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ა/წლის 29 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებულ სამეგრელოს რეგიონში მიმდინარე პროცესების შემსწავლელი დროებითი კომისიის დებულებას ემატება შემდეგი შინაარსის პუნქტი:

„8 ა. სამეგრელოს რეგიონში მიმდინარე პროცესების შემსწავლელი დროებითი კომისია საქმიანობს ყველა იმ უფლებით, რასაც ითვალისწინებს საქართველოს პარლამენტის დროებითი რეგლამენტის შესაბამისი თავის 88-ე მუხლი".

ფირმა „ბარისახო"

იანვრიდან გთავაზობთ ტურისტულ მოგზაურობას შეღავათიანი ფასად პოლონეთში, უნგრეთში, რუმინეთში, ბულგარეთში, ჩეხოსლოვაკიაში, ჩინეთში, ჰოლანდიაში.

გვაქვს აგრეთვე საახალწლო 10-დღიანი საგზურები დაგომისში.

მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ზ. ჭავჭავაძის ქ. 3 (ყოფილი შეროზიას) ტელ.: 95-48-95.

კარიკატურისტის კომენტარი


ყველი
3000 მან.
უკრინმაკრინის ქუდი 40000 მან.
ნაძვის ხე 1000 მან.

მხატვარი ლევან ხართაშვილი.

ეს ჩვენი საქართველოა!



ზამთარი თბილისში. თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

კრიმინალური სამყარო ფარ-ხმალს არ ყრის

28 დეკემბერს, დაახლოებით 21 საათზე ოზურგეთის შინაგან საქმეთა განყოფილებას ტელეფონით დაურეკეს, რომ ლაიტურის ჩაის ფაბრიკაზე თავდასხმას აპირებს ყაჩაღთა ბანდა. მაშინვე შეიქმნა ოპერატიული ჯგუფი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა პოლიციის უფროსი იური სიორიძე. აღსანიშნავია, რომ რაიონში უაღრესად გახშირებული კრიმინოგენული ფაქტების გამო, რაც გამოიხატებოდა ყაჩაღობით, ძარცვით, მკვლელობით, ადამიანთა გატაცებით ფულის გამოძალვის მიზნით, მოსახლეობის კატეგორიული მოთხოვნით შეიცვალა შინაგან საქმეთა ძველი ხელმძღვანელობა. იური სიორიძე სულ ათიოდე დღის დანიშნული იყო ხალხის მოთხოვნით. ამ ათ დღეში ახალი პოლიციის მეთაურის ხელმძღვანელობითა და რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროდან ჩამოსული გამოცდილი ოპერატიული მუშაკების დახმარებით დაკავებულ იქნა ყაჩაღთა ათამდე ჯგუფი. ამ ფაქტმა რაიონის მოსახლეობას იმედი ჩაუსახა, რომ ბოლოსდაბოლოს გამოჩნდა კაცი, რომელიც კრიმინალურ სამყაროს შემოტევისაგან დაიცავდა მათ, მაგრამ, როგორც ჩანს, არც კრიმინალური სამყარო აპირებს ფარ-ხმლის დაყრას.

ოპერატიულმა ჯგუფმა ქაქუთის საგუშაგოსთან შეამჩნია საეჭვო მსუბუქი ავტომანქანა და ანიშნა მძღოლს გაჩერებულიყო. ავტომანქანიდან გადმოვიდა ბოროტმოქმედი, რომელმაც ხელყუმბარა ისროლა. აფეთქების შედეგად დაიღუპნენ ოზურგეთის პოლიციის უფროსი იური სიორიძე და საგზაო პოლიციის უფროსი ნუკრი სეფერთელაძე, დაიჭრა შვიდი პოლიციელი.

მიმდინარეობს გამოძიება.

ცხონება

რეზო იმნაიშვილი

ჩაქრა კიდევ ერთი ნათელი სიცოცხლე. ჩვენგან წავიდა ჩუმი, უპრეტენზიო, პატიოსანი ადამიანი. წლების მანძილზე მუშაობდა რეზო იმნაიშვილი ტექნიკურ რედაქტორად სხვადასხვა გამომცემლობებში: 1948 წლიდან — თეატრალური საზოგადოების გამომცემლობა „ხელოვნებაში", შემდეგ „საბჭოთა მწერალსა" და „მერანში". 1974 წლიდან კი საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებულ მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო კოლეგიის დაარსების თარიღიდან, ვიდრე 1988 წლამდე იგი ალმანახ „საუნჯის" თანამშრომელი იყო. საუკეთესო სპეციალისტი, უპატიოსნესი ადამიანი, ის ჩუმად და მოკრძალებით აკეთებდა თავის საქმეს.

რეზო წავიდა მაშინ, როცა ის ყველაზე მეტად სჭირდებოდა მის ოჯახს, პატარა შვილიშვილს. ის ხომ ის კაცი იყო, მეგობრისათვის სიცოცხლეს რომ არ დაიშურებდა.

საქართველოს მწერალთა კავშირის თარგმანის საგამომცემლო ცენტრ „არილის" თანამშრომლები.

ვახტანგ ლობჟანიძე

გარდაიცვალა საავტომობილო ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკი, დამსახურებული ინჟინერი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი ვახტანგ ლობჟანიძე.

ვ. ლობჟანიძე დაიბადა 1920 წელს, ქ. სამტრედიაში, 1947 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სპეციალობით — „ავტომობილები და საავტომობილო მეურნეობა".

ვ. ლობჟანიძე საავტომობილო ტრანსპორტის სისტემაში ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მუშაობდა ხელმძღვანელ თანამდებობებზე.

მან ყველა თანამდებობაზე გამოიჩინა თავი, როგორც კვალიფიციურმა ინჟინერმა, უნარიანმა, პრინციპულმა ხელმძღვანელმა, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საავტომობილო ტრანსპორტის განვითარების საქმეში.

გულისხმიერი, თავმდაბალი მეგობრის ვ. გ. ლობჟანიძის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი კოლეგებისა და ახლობლების გულში.

რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტრო, საავტომობილო ტრანსპორტის დეპარტამენტი; თბილისის სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება და დარგის პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი.

პირველი სწრაფი რეაგირების კორპუსის „თეთრი არწივის" მებრძოლები იუწყებიან, რომ აფხაზეთის ბრძოლებში გმირულად დაიღუპა

გიორგი ლევანის ძე მიროტაძე

და სამძიმარს უცხადებენ დაღუპულის ოჯახს.

პანაშვიდი 3, 4 იანვარს 2 ს. დაკრძალვა 5 იანვარს 2 ს. მ. კოსტავას 75. XI სადარბაზო.

მთავარი რედაქტორი ზურაბ გოგიაშვილი.

მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 93-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0148.

ინდექსი 66434